# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 14 ივლისი. 2023 წ. №82 (9614) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ყველანი – „ორპირ ქარში“...




იხ. 3 გვ.

# „მტკიცე მხარდამჭერები“, ფუჭე დაპირებები!..

## საქართველო ვილნიუსის სამიტის კულუარებში

# „გვითანაგრძნობდნენ“

## როცა სიმართლის თქმა ძალიან მწარე, მაგრამ აუცილებელია!



② ყველაფერი ქართულისთვის რუსულის დარქმევა ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი მანიპულაციაა!

ხალხის ძალა

## თავის დროზე უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები რომ გამხდარიყვნენ, დღეს უკრაინაში ომი არ იქნებოდა!

### საქართველო დღესაც მზად არის, ალიანსის წევრი გახდეს



**თავის დროზე უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები რომ გამხდარიყვნენ, დღეს უკრაინაში ომი არ იქნებოდა,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისივე თქმით, საქართველო ყველანაირად მზად არის, რომ ალიანსის წევრი გახდეს.

**„სტატუს კვო დარჩა ძალაში უკრაინასთან მიმართებით, ასევე საქართველოსთან დაკავშირებით. ჩვენთვის ეს არის მისაღები შედეგი და პროგნოზიც ასეთი იყო. იმ ვითარებაში, როცა რეგიონში არის მძიმე მდგომარეობა, საქართველოსთან მიმართებით რაიმე სიახლეს არავინ ელოდებოდა. უკრაინის შემთხვევაშიც არავითარი სიახლე არ იყო, რაც ერთადერთი რამის შედეგია – ნატოს უჭირავს პრაგმატული პოზიცია რუსეთთან მიმართებით. ეს პირდაპირ დაფიქსირდა კომუნიკეში. რეალურად, საქართველო ყველანაირად მზად არის, გახდეს ალიანსის წევრი.**

**ყველა თვალსაზრისით, ჩვენ ამისათვის მზად ვართ, თუმცა მზაობა არ არის მეორე მხარეს. ამის მზაობა არ იყო არც 2006 წელს, არც 2008 წელს, არც 2012 წელს, არც ამის შემდეგ. ამას აქვს პოლიტიკური საფუძველი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ იმაზე, რა არის ამის მიზეზი, მაგრამ თავის დროზე მაგალითად, უკრაინა და საქართველო რომ გამხდარიყვნენ ნატოს წევრები, დღეს უკრაინაში ომი არ იქნებოდა. საქართველო ყველანაირად მზად არის, ალიანსის წევრი გახდეს. ამისთვის ყველა პირობას აკმაყოფილებს“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## ზაურ ნაჭყებია

## როგორ ხრავს ⑤ ქართულ სხეულს „პირველობის“ მანია!

## ექსკლუზივი — ირაკლი ჯანჯღარაშვილი





იხ. 4 გვ.



## გახარია-კეზერაშვილ-მერაბიშვილის ალიანსი „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ აგვისტოში ჩამოყალიბდება



## თურქეთი ფრთხილობს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ერდოღანი ⑧ მალე ფეხებზე დაიკიდებს პუტინს!



# მეუფე შიო: მიუხედავად ამდენი ქარტეხილისა და სირთულისა, ჩვენ ერთად ვართ!

**ჩვენ, ქართველები, ჩვენი ერი, ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს სამშობლოში იქადაგა ხუთმა მოციქულმა, რომელთაგან ორი დაკრძალულია ჩვენს სამშობლოში და ვხარობთ იმით, რომ მოციქულთა მიერ დაწყებული დიდი საქმე ქადაგებისა და ეკლესიის დაარსებისა დღესაც გრძელდება. ამის დასტური არის ის, რომ ჩვენ აქ ერთად ვიმყოფებით, მიუხედავად ამდენი ქარტეხილისა და სირთულისა, რაც ჩვენს ერს გადახდა ისტორიაში,** – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა **შიომ (მუჯირი)** სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე ქადაგებისას განაცხადა.

დღეს არის თორმეტი მოციქულის ხსენება და აი, ამ დიდებული და ბრწყინვალე ტაძრის დღესასწაული. გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევას. შეგვეწიოს ჩვენ და მთელ საქართველოს მისი დალოცვა.

წმინდა ეკლესია დღეს განსაკუთრებულად ზეიმობს მოციქულთა ხსენებას. თქვენ იცით, რომ გუშინ იყო წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლეს ხსენება. დღეს, როგორც გითხარით, არის თორმეტი მოციქულის ხსენება, ვინაიდან ისინი თვით უფალმა იესო ქრისტემ გამოარჩია. იგი ეტყვის მათ ერთხელ: „განა თორმეტი არ გამოგარჩიეთო?“ – გახსოვთ ეს მისი სიტყვები.

განსაკუთრებით ვზეიმობთ მოციქულთა ხსენებას ასევე იმიტომ, რომ წმინდა ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ სწორედ ის, რომ სამოციქულოა ეკლესია, როგორც ჩამოაყალიბეს ჩვენმა წმინდა მამებმა სარწმუნოების სიმბოლოში: „მრწამს ერთი წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. სამოციქულოობა არის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიისა.

ამ წმინდა ტაძარში ლოცულობდნენ კათოლიკოს-პატრიარქები, ჩვენი მეფეები, იკურთხებოდნენ პატრიარქები და ეპისკოპოსები და იკურთხებიან დღესაც, ჩვენ ვაგრძელებთ სახარების ქადაგებას, ღვთის სიტყვის ქადაგებას დღესაც. ამ დიდ საქმეში ჩვენ გვეწევიან წმინდა მოციქულები, ვინაიდან ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად მივბაძოთ მათ.

როგორც მოგეხსენებათ, ამ დიდებულ ტაძარში არის დაფლული და დავანებული კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ეს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე ქრისტიანული სამყაროსი. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ წმინდა მამების სწავლებით, კვართი იყო მატარებელი მამაზეციერიდან მომდინარე ერთობისა, ერთიანობისა, ამ ერთობის დარღვევა არ შეეძლო იმას, ვინც იქნებოდა კვართის მფლობელი. ასე წერენ პირდაპირ წმინდა მამები, რომ ქრისტეს შესამოსლის ფლობა არ ძალუძს იმას, ვინც განყოფს და არღვევს ქრისტეს ეკლესიას...




# როცა სიმართლის თქმა ძალიან მწარე, მაგრამ აუცილებელია!

## „ხალხის ძალა“ – ყველაფერი ქართულისთვის რუსულის დარქმევა ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი მანიპულაციაა!

**რუსეთთან კავშირის დაბრალება ლიბერალების საყვარელი იარაღია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში,** – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ განცხადებაშია ნათქვამი.

**„ორიოდე თვის წინ დასრულდა დონალდ ტრამპის რამდენიმეწლიანი დავა ამერიკის ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსთან, საიდანაც გაირკვა, რომ რუსეთთან ტრამპის არალეგალური კავშირების შესახებ პოლიტიკური და იურიდიული ბრალდება ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. აქედან ჩანს, რომ რუსეთთან კავშირის დაბრალება ლიბერალების საყვარელი იარაღია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში.**

**საქართველოში რუსული ფაქტორით მანიპულირება კიდევ უფრო იოლია იმ პირობებში, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული. შესაბამისად, ყველაფერს, რაც საქართველოს ხელისუფლებას და მის საქმიანობას უკავშირდება, ქართველი ლიბერალები – „ნაციონალები“ და მათი პატრონები უაპელაციოდ პრორუსულს და რუსულს არქმევენ.**

**მათი გადმოსახედიდან, რუსულია ყველაფერი, რაც საქართველოს ინტერესებს ემსახურება: რუსულია, როდესაც ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაში მშვიდობას უფრთხილდება; რუსულია ბიძინა ივანიშვილი და მისი უპრეცედენტო, სამმილიარდიანი ქველმოქმედება, რომლითაც უამრავი ქართული საქმე გაკეთდა; რუსულია მართლმადიდებელი ეკლესია და საპატრიარქო, თავად პატრიარქიც, რომელიც 45 წელია, საქართველოს ემსახურება; რუსულია ერეკლე მეორე, დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი; რუსულია იმის მტკიცება, რომ ქორწინება მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ოჯახური კავშირია; რუსული დეზინფორმაციაა ნებისმიერი სიმართლე, რომელიც საქართველოს ინტერესებს გამოხატავს; რუსულია ქართული კანონი, რომელიც ამერიკული კანონის შერბილებული ვერსიაა, მეტიც, რუსულია თვით ამერიკული კანონის სიტყვასიტყვითი თარგმანიც; რუსულია, რომ ხელისუფლებამ რუსეთს სანქციები არ დაუწესა და ამით ქართული ეკონომიკა არ გაანადგურა; რუსულია საქართველოს ელჩი უკრაინაში, რომელსაც რუსეთის სამხედრო ინტერვენციის დღიდან კიევი არც ერთი წამით არ დაუტოვებია; რუსულია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაც, თუ ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მოხდება; რუსულია, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ უკრაინის ომის ერთ-ერთი მიზეზი უკრაინის ნატოსკენ სწრაფვა იყო, მაგრამ თუ იმავეს ნატოს გენერალური მდივანი ამბობს, ეს უკვე დასავლურია; ისიც კი რუსულია, რომ, 2008 წლისგან განსხვავებით, საქართველოს მოქმედი ხელისუფლება რუსულ ტანკებს საქართველოში არ შემოუძღვა.**

**არარუსული და მედასავლეთე მხოლოდ უცხოური აგენტურაა, რომელიც, გლობალური ომის პარტიის დაკვეთით, ჯერ ხელისუფლების რიგებიდან ადამიანებს აწამებდა, აპატიმრებდა და ბიზნესებს ართმევდა, ტელევიზიებს იტაცებდა და 2008 წელს რუსულ ტანკებს საქართველოში შემოუძღვა, ხოლო ახლა ოპოზიციის რიგებიდან ცდილობს ქვეყანა არიოს და საქართველოში მეორე ფრონტი გააჩაღოს.**

**ლიბერალების ლექსიკონის მიხედვით, ამქვეყნად ყველაფერი ან პრორუსულია, ან პროდასავლური. მათ ლექსიკონში ქართულისთვის სივრცე საერთოდ არ რჩება. უსამშობლო ე.წ. ლიბერალებს, შესაძლოა, მართლა ვერ წარმოუდგენიათ, რომ ადამიანს სამშობლოზე გული შეიძლება შესტკიოდეს და გადაწყვეტილებებს საკუთარი ქვეყნის ინტერესების კარნახით იღებდეს.**

**ყველაფერი ქართულისთვის რუსულის დარქმევა ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი მარტივი მანიპულაციაა. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ყველაფრის მიზანი საქართველოში მეორე ფრონტის გაჩაღებაა, რაც აუცილებლად ქვეყანაში რუსული ტანკების შემოსვლით დასრულდება. ყველაზე შემაშფოთებელი კი ისაა, რომ ამ კამპანიას ე.წ. ლიბერალები დასავლეთის სახელით და ხშირად დასავლური დაფინანსებით აწარმოებენ“!**

12 ივლისი, 2023

# კელი დეგნანი: ვილნიუსის სამიტის გზავნილი ძალიან მკაფიოა!



**ნატოს ვილნიუსის სამიტის გზავნილი ძალიან მკაფიოა, კარი ფართოდ ღიაა საქართველოსა და უკრაინისთვის,** – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა განაცხადა.

როგორც კელი დეგნანმა აღნიშნა, ის, რაც არ შეცვლილა არის, რომ მოკავშირეებს სურთ, საქართველო გახდეს ნატოს წევრი.

**„ნაბიჯები, რომელიც საქართველომ უნდა გადადგას, რომ შევიდეს ამ კარში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნათელი იყო. საქართველოს ხელშია განახორციელოს საჭირო რეფორმები, რაც გადამწყვეტია. ეს არის იგივე რეფორმები, რაც აუცილებელია ევროკავშირის წევრობისთვის. ეს არის მართლმსაჯულების რეფორმა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, რომ საქართველოს ჰქონდეს როგორც სამხედრო შესაძლებლობები, ასევე პოლიტიკური დემოკრატიული სტაბილურობა და ინსტიტუტები ნატოს მაგიდასთან დასაჯდომად. ეს არ შეცვლილა და ყველა მოკავშირე, განსაკუთრებით შეერთებული შტატები, მხარს უჭერს საქართველოს ამ რეფორმების გატარების მცდელობაში. ჩვენ უბრალოდ გვჭირდება, დავინახოთ, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნება, რომ განახორციელოს ის რეფორმები, რაც აუცილებელია. მკაფიო გზავნილი ვილნიუსიდან არის ის, რომ კარი საქართველოსთვის ღიაა და მოკავშირეებს სურთ, რომ საქართველო იყოს წევრი. ვფიქრობ, საგარეო საქმეთა მინისტრმა, დარჩიაშვილმა ძალიან კარგად იმუშავა საქართველოს წარდგენით. ეს სამიტი ამ საკითხზე არ იყო ორიენტირებული. ცხადია, რუსეთის ომი უკრაინაში სამიტის მთავარი თემა იყო“,** – განაცხადა დეგნანმა.



# ზურაბ ჩხაიძე: პოლონელი კოლეგები სრულად დაეთანხმნენ ჩვენი მკურნალობის ტაქტიკას

**„მოგეხსენებათ, გუშინ ჩვენს კლინიკაში ვიზიტით იმყოფებოდნენ პოლონელი კოლეგები. ეს იყო ექიმი ნეიროქირურგი და მეორე, შინაგანი მედიცინის სპეციალისტი, ასევე ტოქსიკოლოგი. შემიძლია, ერთმნიშვნელოვნად გითხრათ, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ, კოლეგები ძალიან კმაყოფილი ვართ, კოლეგიალური შეხვედრა იყო ნამდვილად. ნამდვილად საგნობრივი შეხვედრა იყო. ერთობლივად განვიხილეთ პაციენტის მიმდინარე მდგომარეობა, ჩატარებული წინა კვლევები.**

**იყო ნამდვილად კოლეგიალური და კეთილგანწყობილი შეხვედრა, განსხვავებით სხვა წინა ექსპერტებისგან, რომლებიც ჩამოდიოდნენ და საერთოდ კომუნიკაცია არ ჰქონდათ. არა მარტო უცხოელი ექსპერტები იყვნენ წინათ, თუნდაც იგივე ქართველი ექსპერტები, რომლებსაც ფაქტობრივად არ ჰქონიათ კომუნიკაცია ჩვენი კლინიკის ექიმებთან. მათგან განსხვავებით, იყვნენ ძალიან კომუნიკაბელურები, ძალიან კოლეგიალურები და ერთობლივად განვიხილეთ. რაც შეეხება მიმდინარე მკურნალობას, მე მხოლოდ ზოგადად შემიძლია, გითხრათ, რომ ისინი სრულად დაეთანხმნენ ჩვენი მკურნალობის ტაქტიკას, ჩატარებულ კვლევებს და სხვა დანარჩენ დეტალებზე ალბათ თვითონ გააკეთებენ განცხადებას“,** – განაცხადა ჩხაიძემ.

მან ასევე განმარტა, რომ უცხოელი ექიმები დაეთანხმნენ „ვივამედში“ ჩატარებულ კვლევებს და რეკომენდაციებს.

**„დამატებით კვლევებს, რაც ჩვენ ჩატარებული გვაქვს, სრულად დაეთანხმნენ. ის, რაც თვითონ რეკომენდაციის სახით მოგვცეს, ჩვენ ეს რეკომენდაცია გვქონდა პაციენტისთვის, მაგრამ პაციენტი მაშინ უარს აცხადებდა იმ კვლევის ჩატარებაზე, თუნდაც ხერხემლის ფუნქციის ჩატარება, რომელზეც პაციენტმა არაერთხელ განაცხადა უარი. მათაც ეს შესთავაზეს. სხვა დანარჩენი, მაგალითად კვებასთან დაკავშირებული საკითხები, ეს ყველაფერი იყო ჩვენი საერთო აზრი და საერთო გადაწყვეტილება, რის შესახებაც ისინი ესაუბრნენ პაციენტს“,** – აღნიშნა ჩხაიძემ.

# ჩვენ კვლავ ვადასტურებთ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდება გაწევრების სამოქმედო გეგმით!..




## NATO ალიანსში საქართველოს გაწევრების პერსპექტივას კვლავ ადასტურებს.

### ამის შესახებ ნათქვამია ვილნიუსში გამართული სამიტის დეკლარაციაში.

**„ჩვენ კვლავ ვადასტურებთ 2008 წელს ბუქარესტში გამართულ NATO-ს სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, საქართველო ალიანსის წევრი გახდება გაწევრიანების სამოქმედო გეგმით (MAP), რაც პროცესის თანმიმდევრულ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენ მივესალმებით NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის რეალიზების პროცესში კრიზისების მართვის, კიბერუსაფრთხოების, სამხედრო ინჟინერიის, ელექტრონული კომუნიკაციების დაცვის მხრივ მიღწეულ პროგრესს, ისევე როგორც ახალ ინიციატივებს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული თავდაცვისა და საწვრთნელი შესაძლებლობების სფეროებში. ევროატლანტიკური მისწრაფებების გასავითარებლად საქართველომ უნდა მიაღწიოს პროგრესს რეფორმების, განსაკუთრებით გადამწყვეტი დემოკრატიული რეფორმების მხრივ და საუკეთესოდ გამოიყენოს ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP)“,** – ნათქვამია ვილნიუსის სამიტის დეკლარაციაში.

დოკუმენტში ალიანსის წევრი სახელმწიფოები კვლავ ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

**„ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს უფლებას განსაზღვროს ქვეყნის მომავალი და საგარეო პოლიტიკა, რომელიც თავისუფალი იქნება გარე ჩარევისგან. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს:**

**უკან წაიღოს საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონის აღიარება; წერტილი დაუსვას ამ რეგიონების მილიტარიზაციას და მცდელობებს, რომ საზღვრის მსგავსი კონსტრუქციების აღმართვით ძალადობრივად მოწყვიტოს ისინი დანარჩენ საქართველოს; შეწყვიტოს ადამიანის უფლებების დარღვევა და მათ შორის თვითნებური დაკავებები და საქართველოს მოქალაქეების შევიწროება. ჩვენ ძალიან ვაფასებთ საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ალიანსის მისიებში, რაც ადასტურებს მის ერთგულებასა და შესაძლებლობებს წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. ჩვენ კვლავ მზად ვართ, სრულად გამოვიყენოთ NATO-საქართველოს კომისია და წლიური ეროვნული პროგრამა (ANP) საქართველოსთან პოლიტიკური დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავებისთვის“,** – ნათქვამია კომუნიკეში.

### რედაქციისგან:

ეს ყველაფერი ახალი სატყუარაა! სამოქმედო პროგრამა MAP-ს მოგვცემენ?, ან ევროატლანტიკური სივრცის მოსაწონ „დემოკრატიულ რეფორმებს“ როდის ჩაამთავრებს შიდა და გარე მტრებით ანუ დაგეშილი აგენტებით გარშემორტყმული საცოდავი საქართველო?!

ვილნიუსის სამიტის დეკლარაციაც ჩვეულებრივი ფარატინა ქაღალდია, რომელიც ერთ მთავარ საქმეს – ისევ რუსეთის ბოლომდე გაღიზიანებას ემსახურება, რადგან თვით NATO ყოველგვარ ესკლაციას ერიდება ატომით და აგრესიით გაძეძგილ რუსეთთან, ჩვენ კი, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, ისევ თავზეხელაღებულ ოკუპანტთან პირისპირ გვტოვებს!

უკრაინას რომ ომის დამთავრების შემდეგ უმაპოდ მიიღებენ ნატოში, ესეც ცარიელი სიტყვების ბაქიბუქია და პუტინისგან გაუბედურებული და გაპარტახებული ქვეყნის მასხრად აგდება!

როდის დამთავრდება ომი? მოიგებს უკრაინა? დაუძლურდება რუსეთი? დაგნებდებათ პუტინი?

ისემც ავღანეთიდან კინწისკვრით გამოქცეული ამერიკა დაგიმშვენდეთ!!!



# „გვითანაგრძნობდნენ“

## საქართველო ვილნიუსის სამიტის კულუარებში

**ნატო-საქართველოს ურთიერთობები ინერციით გრძელდება და საჭიროა გადატვირთვა,** – ასე აჯამებს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი კორნელი კაკაჩია ნატოს სამიტის შედეგებს, რომელსაც ვილნიუსმა უმასპინძლა და საზოგადოებას კულუარებში საქართველოსთან დაკავშირებით არსებულ განწყობებსაც უზიარებს:

**„ცხადია, ეს მნიშვნელოვანი სამიტი იყო, განსაკუთრებით უკრაინისთვის. ბუნებრივია, მოლოდინი უკრაინელების მხრიდან ცოტა მეტი იყო, რადგან ცდილობდნენ, მაქსიმუმი მიეღოთ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, მაინც იჩინა თავი რიგი სახელმწიფოების მხრიდან სიფრთხილემ იგივე რუსეთთან, სხვა საკითხებთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, შედეგი, რომელიც დადგა (უკრაინა მაპი-ს გარეშე გახდება ალიანსის წევრი), საკმაოდ მნიშვნელოვანია უკრაინისთვის და მისი მომავალი წევრობისთვის.**

**თუმცა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ფორმალურად გაფორმდა ტრადიციული დუეტის – საქართველოს და უკრაინის დაშორება: უკრაინამ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, ჩვენ სხვა სიბრტყეში მოვიაზრებით. თუ დავაკვირდებით ბოლო წლების დინამიკას, აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ნელ-ნელა ნატო-საქართველოს ურთიერთობები ისეთი ინტენსიური აღარ არის, არ გვაქვს დღის წესრიგი, პროაქტიული პოლიტიკა. მესმის, შესაძლოა, ნატოში გაწევრებას არ ველოდებოდეთ, მაგრამ პროაქტიური პოლიტიკა საჭიროა, იგივე ამ სამიტზე, რაც სამწუხაროდ, არ შეინიშნებოდა.**

**არ იყო მაღალი დონის ვიზიტები, ნაკლებად იყო მედია, ძალიან ცოტა რაოდენობის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი იყო. ამ ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, რომ საქართველოს თემა იყოს აქტუალური ალიანსისთვის. მხოლოდ ორჯერ ახსენეს საქართველო – ერთხელ ლიეტუვის პრეზიდენტმა, მეორედ – სპიკერმა. ყველაზე ცუდი და სამწუხარო ის არის, რომ კულუარებში ყველა გვითანაგრძნობს იმ ვითარებიდან, რომ გამომდინარე ჩვენი საგარეო პოლიტიკიდან, აშკარად ჩანს, ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, მას არ სჯერა, რომ ჩვენ შესაძლოა, ნატოს წევრები გავხდეთ. ეს ჩანს კიდეც, მათ შორის, ნატოს მხრიდან“.**

მისთვის გაურკვეველია, რა „ახალ იმპულსზე“ საუბრობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც თითქოს ქვეყანამ ვილნიუსის სამიტიდან მიიღო, როდესაც კომუნიკე იმეორებს ბუქარესტის სამიტის ტექსტს:

**„წლების განმავლობაში გრძელდება თანამშრომლობა, უსაფრთხოების გაძლიერება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სამიტზე საქართველო გამოიყურებოდა არა როგორც ასპირანტი, არამედ როგორც ერთ–ერთი პარტნიორი ქვეყანა. ჩანდა ისე, თითქოს ნეიტრალური ქვეყანაა საქართველო. ის ქვეყნებიც კი, რომლებსაც ფორმალურად ნეიტრალიტეტი აქვთ გამოცხადებული, უფრო აქტიურობდნენ, მათ შორის – ნატოსთან მიმართებით. ეს არის რისკების შემცველი: არ ჩანს პოლიტიკური ნება საქართველოს მხრიდან!“.**

რაც შეეხება ნატო-საქართველოს ურთიერთობის „გადატვირთვის“ აუცილებლობას, კაკაჩია ამბობს, რომ ეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების საქმე არაა: ქართველი საზოგადოება მყარად უჭერს მხარს საქართველოს მისწრაფებას, საჭიროა, პროცესში ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური წრეები, მედია, რადგან არსებული ტემპი და ურთიერთობების დონე შესაძლოა, სერიოზული რისკის შემცველი აღმოჩნდეს:

**„მართალია, უკრაინამ დღეს ის ვერ მიიღო, რაც სურდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლო პერიოდში შესაძლოა, გამოჩნდეს ისეთივე შესაძლებლობების „ფანჯარა“, რომელიც გაჩნდა ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართებით. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, მას როგორ დახვდება ქვეყანა – არ ჰქონდეს რეპუტაციული ზიანი. ტრადიციული მოკავშირეები სინანულით აღნიშნავენ, რომ საქართველო კარგავს თავის ადგილს ნატოსთან, ზოგადად დასავლეთთან ინტეგრაციის კუთხით. ეს კი საწყენია იმის გათვალისწინებითაც, თუ რა წვლილი აქვს შეტანილი ქვეყანას ნატოს ოპერაციებში. ცხადია, ამ წვლილს ნატო აღიარებს, მაგრამ იმიჯს ყოველწლიურად სჭირდება გამაგრება. არ უნდა მოხდეს ისე, რომ საქართველოს რეპუტაცია შეილახოს გაურკვეველი საგარეო პოლიტიკური კურსის ან გაურკვეველი განცხადებების გამო. დღეს ამის რისკია და ამას ჩვენი მეგობრებიც ხედავენ“.**

ანალიტიკოსი დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ არავის აქვს მოლოდინი, რომ საქართველო ხვალ გახდება ალიანსის წევრი, მაგრამ არ უნდა დავაგდოთ ტემპი და გავაჩინოთ ეჭვი, რომ საქართველო აღარ არის დაინტერესებული ნატოში გაწევრებით, აღარ არის სოლიდარული უკრაინის მიმართ, ეწინააღმდეგება დასავლეთის ქვეყნების კურსს, არ მიჰყვება ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკას.

არსებული პოლიტიკა ბადებს კითხვებს საქართველოსთან მიმართებით, რაც დამაზიანებელია ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის.



ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ოპოზიციის მიერ „თვალთხარიად“ წოდებული გიორგი გახარია შემოდგომის მზესავით ხან გამოჩნდება, ხან მიიმალება, თუმცა, როგორც ჩანს, ის არ აპირებს დისტანცირებას ქართული პოლიტიკური სივრციდან.

სამოქალაქო აქტივისტი ირაკლი ჭანყარაშვილი ამბობს, რომ მალე გიორგი გახარიას მთავარ ოპოზიციურ ძალად ვიხილავთ.

ოპოზიციურ ფლანგზე ისედაც მარგინალური სუბიექტები დგანან და წესით, სჭირდება კიდევაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ერთი კი არა, რამდენიმე სერიოზული ოპოზიციური ძალა და ამ ნიშას ეპოტინება, სავარაუდოდ, გახარია, რომელიც, არა მგონია, იმდენად იყოს ავტორიტეტული და ხალხისგან მხარდაჭერილი, რომ მთავარ და ძლიერ ოპოზიციურ ფიგურად წარმოჩინდეს 2024 წლის არჩევნებში, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, დრო ყველაფერს გვიჩვენებს.

ახლა კი ირაკლი ჭანყარაშვილის ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც საგულისყურო ინფორმაციებს გვაწვდის.







# გახარია-კეზერაშვილ-მერაბიშვილის ალიანსი „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ აგვისტოში ჩამოყალიბდება

**– ირაკლი, თქვენ საკმაოდ ინფორმირებული ხართ ოპოზიციის გეგმებთან დაკავშირებით, რას გვეტყვით ისეთს, რაც შეიძლება საზოგადოებამ არ იცოდეს?**

– მაქვს ინფორმაცია, რომ აგვისტოში გახარია-კეზერაშვილ-ადეიშვილ-ხაბეიშვილ-მერაბიშვილის შეხვედრა იგეგმება საფრანგეთში.

მათ უკვე აღარ სჯერათ, რომ 2024 წლის არჩევნებში ხაბეიშვილი „ქართულ ოცნებას“ წელში გადატეხს და საქმეში გიორგი გახარიას ჩართვას გეგმავენ. მოსწონს თუ არა ხაბეიშვილს, მოუწევს მას გახარიასთან ურთიერთობების დამყარება.

„ბი-ბი-სის“ ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ კეზერაშვილს, ფაქტობრივად, წითელი ხაზი გადაუსვეს და ახლა მას თავის ერთგულ გარემოცვაში სჭირდება ახალი ფიგურა, რომელიც შეძლებს ევროპარლამენტარების გულის მოგებას. კეზერაშვილს კარგად ესმის, რომ ხაბეიშვილი ასეთი არ არის და აქ ჩნდება გახარიას ფაქტორი, რომელსაც საარჩევნოდ ფული ესაჭიროება.

**– კეზერაშვილ-ადეიშვილ-მერაბიშვილის საბოლოო მიზანი რა შეიძლება იყოს?**

– მათ სურთ შექმნან ისეთი ოპოზიცია, რომლისგანაც საერთოდ დისტანცირებული იქნება სააკაშვილის სახელი. კეზერაშვილს იმედი აქვს, რომ გახარიას სახით შექმნის ისეთ ოპოზიციურ ძალას, რომელსაც ექნება ავტორიტეტი. ის „ქართული ოცნების“ მიერ დაფასებული პრემიერ-მინისტრი იყო, საარჩევნო სიის პირველი ნომერი და ფიქრობს, რომ გახარიას ახლაც აქვს იმდენი ძალა, რომ ის გახდება ერთგვარი პროტეჟე კეზერაშვილისთვის ნათია მეზვრიშვილის საშუალებით, რომელსაც, ჟარგონზე რომ ვთქვათ, „სიტყვა ეთქმის“ შიდა და გარე ლიბერალებთან. ხაბეიშვილს საერთოდ არავინ არ ჰყავს გუნდში ისეთი, დასავლეთს რომ დაელაპარაკება. მოგეხსენებათ, ხაბეიშვილმა ინგლისურიც კი არ იცის.

კეზერაშვილს სჭირდება დასავლეთიდან გარანტია, რომელიც მას, როგორც ოლიგარქს, გარეცხავს და ქვეყნის შიგნით იბრძოლებს იმისთვის, რომ არა მისკენ იყოს მიმართული ქართველი ამომრჩევლის აგრესია, არამედ ბიძინა ივანიშვილისკენ. კეზერაშვილი გეგმავს, პარლამენტმა მიიღოს ისეთი კანონი, რომ მისი, ხაზარაძისა და მათნაირების საფარველი იყოს ეს კანონი და კანონმა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იმუშაოს, რაც, მე თუ მკითხავთ, აბსურდული ჩანაფიქრია.

**– სააკაშვილი სადაა ამ აურზაურში?**

– სააკაშვილი დამარცხდა კეზერაშვილ-ადეიშვილ-მერაბიშვილთან ბრძოლაში, სადაც ხაბეიშვილი იყო პაიკი. თუმცა ამით ყველაფერი არ დასრულებულა. კეზერაშვილი გეგმავს არჩევნებში მისმა მხარდაჭერილმა ძალამ გაიმარჯვოს, თავად დაბრუნდეს საქართველოში და აქ იცხოვროს ხელშეუხებლად.

რაც შეეხება მიშას, ის 2012 წლის არჩევნების წაგებას მთლიანად ვანო მერაბიშვილს აბრალებს, რომელიც სასტიკად გაწირეს. ახალმა ხელისუფლებამ ის დააპატიმრა და მის დასაცავად არავის თავი არ გამოუდვია, არც პოლიტპატიმრად შეურაცხავს თანაგუნდელებს. მერაბიშვილის კადრი იყო მეგის ქარდავა, ადეიშვილიც და კეზერაშვილიც, რომელთა პოლიტიკურ დევნილად გამოცხადებისთვის არავის უმუშავია არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ, როგორც, მაგალითად, გიგი უგულავასთვის გააკეთეს. ის გაცილებით უფრო ღირებული აღმოჩნდა „ნაცმოძრაობისთვის“, ვიდრე ვანო მერაბიშვილი და დღემდე ასე გრძელდება. კეზერაშვილ-მერაბიშვილს კი ისღა დარჩენიათ, რომ სამაგიერო გადაუხადონ

**მათ უკვე აღარ სჯერათ, რომ 2024 წლის არჩევნებში ხაბეიშვილი „ქართულ ოცნებას“ წელში გადატეხს და საქმეში გიორგი გახარიას ჩართვას გეგმავენ. მოსწონს თუ არა ხაბეიშვილს, მოუწევს მას გახარიასთან ურთიერთობების დამყარება.**

სააკაშვილს და დატოვონ ის უფუნქციოდ, ანუ წაართვან პარტია და გამონახეს ისეთი ოდიოზური ფიგურა, როგორიც არის ხაბეიშვილი. ხაბეიშვილი გახადეს პარტიის თავმჯდომარე და ძალაუფლება თავად ჩაიგდეს ხელში.

ყველას გვახსოვს, როცა ხაბეიშვილი გახდა პარტიის თავმჯდომარე, ის ამბობდა: ფიზიკურად გამოვიხსნი სააკაშვილს საპატიმროდანო. ეს განცხადება იმდენად კომიკური იყო, რომ სასაცილოდაც არ ეყო საზოგადოებას. მოწოდება კი იმით გაგრძელდა, რომ ხაბეიშვილმა დაიწყო რეგიონებში სიარული და პენსიონერებთან შეხვედრები, საიდანაც ქვების სროლით და ცემით ისტუმრებენ. რა უნდა ხაბეიშვილს რეგიონებში? არჩევნებამდე წელიწადნახევარზე მეტია დარჩენილი და ახლა არის იმის დრო, რომ პენსიების გაზრდაზე ილაპარაკოს რეგიონის პენსიონერებთან? სინამდვილეში, ხაბეიშვილი ცდილობს, უკანა პლანზე გადაიტანოს სააკაშვილის საკითხი.

გეგმა კი განხორციელდა: საბოლოოდ „ჩაირეცხა“ სააკაშვილი, გახდა მარგინალური, კეზერაშვილმა „ნაცმოძრაობა“ ჩაიგდო ხელში, რომელსაც ახლა თვითონ აფინანსებს ისე, როგორც აფინანსებს გიორგი გახარიასაც!

გაიხსენეთ, ტელეკომპანია „ფორმულა“ 2019 წლის ოქტომბერში გაიხსნა და თავიდანვე გიორგი გახარიას წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. თუმცა ახლა გახარიაზე სიტყვას არავინ ძრავს, „თვალთხარიასაც“ არავინ უწოდებს, 20 ივნისიც თითქოს ყველამ მიივიწყა და ხანდახან თუ გაახსენდებათ სააკაშვილი.

ჩალაძესაც, რომელსაც მიუგდეს „სააკაშვილის გათავისუფლების შტაბი“ იმ მიზნით, რომ მას არაფერი ეკეთებინა, კეზერაშვილი აფინანსებს და, რა თქმა უნდა, მათ აქვთ კომუნიკაცია.

**– თქვენ ამბობთ, რომ კეზერაშვილსა და სააკაშვილს შორის ფარულ დაპირისპირებაში ჩალაძეცააა გარეული?**

– ჩალაძე ხაბეიშვილზე არანაკლები მარიონეტია.

ის არის ერთ-ერთი იმათგანი, რომლებიც მართავენ მიხეილ სააკაშვილის ფეისბუკის გვერდს და გადახედეთ, როგორ არასერიოზულ პოსტებს დებს სააკაშვილის სახელით და არის მერე ქირქილი, გინება და ფურთხება სააკაშვილის წინააღმდეგ...

ექსპრეზიდენტი და მისი ოჯახი კარგად ხვდებიან, რომ კარგავენ პარტიას. უკრაინაში ყოფნისას სააკაშვილის ყოველი ჩართვა პარტიისთვის იყო ზეაღმატებული, როდესაც ხაბეიშვილი გახდა თავმჯდომარე, „ნაცმოძრაობაში“დაიწყო მინიმუმ სამი-ოთხი ჯგუფის დაპირისპირება და ეს კეზერაშვილის გეგმა იყო.

ამასთან ერთად, მელიას აქვს ჩანაწერი, სადაც ხაბეიშვილი ამბობს, რომ მას ფეხებზე ჰკიდია სააკაშვილი, არც მოიაზრებს, როგორც ფიგურას ქართულ პოლიტიკაში, ის არის ორიენტირებული კეზერაშვილზე და აყვედრის თანაგუნდელებს, კეზერაშვილი რომ არა, აქამდე სულიც არ გედგმებოდათო. დღესაც ისე იქცევა სააკაშვილი „ვივამედიდან“, რომ კიდევ უფრო დიდ დარტყმას აყენებს პარტიასო. მე ფეხებზე მკიდია სააკაშვილი, როგორც გადაწყვეტს კეზერაშვილი, ისე მოვიქცევი პირადად მეცო.

დიახ, კეზერაშვილმა დაუშალა პარტია სააკაშვილს, მოიყვანა თავმჯდომარედ ხაბეიშვილი, ჩამოაშორა მელია, შექმნა ახალი გიორგი ჩალაძე, რომელიც ადრე ოჯახის მთვარი იურისტი და მრჩეველი იყო და ახლა სასაცილო ფიგურაა, ჩალაძეს აბრალებენ სააკაშვილის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, თემურ ალასანიას მიერ ჩარიცხული თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, 300 ე.წ. მოშიმშილის ქმედებების არაეფექტურობასაც, მასვე ბრალდება ეთერებში „ნაცმოძრაობის“ წევრების ერთმანეთთან არათანხვედრილი აზრების გაჟღერება, „სააკაშვილის განთავისუფლების შტაბის“ არაეფექტური მუშაობა და ა.შ.

რეგიონებში „ნაცმოძრაობის“ ორ-ორი შტაბია გახსნილი – ერთი ნიკა მელიასი, მეორე – ხაბეიშვილის. ფაქტობრივად, დაშლილია „ნაცმოძრაობა“ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის დავით კეზერაშვილს.

თვით ნიკა მელია აპირებს ახალი გაერთიანების შექმნას, ის საკუთარ თავს ვეღარ ხედავს „ნაცმოძრაობაში“. იგი, სავარაუდოდ, მალე დატოვებს პარტიას და ამის ნიშნები უკვე აშკარაა. თუნდაც ბათუმში ავიღოთ: ხაბეიშვილის და მელიას შტაბების წევრებს ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გაჩაღებული.

იგივე ვითარებაა ზუგდიდში. სხვაგანაც...

**– გახარიას ფაქტორზე ისაუბრეთ, მას ავტორიტეტი თითქმის აღარ დარჩა, არც რაიმე სერიოზული პოლიტიკური განაცხადი გაუკეთებია გადადგომის მერე და რატომ შეიძლება ვინმეს მასზე ფსონის დადება მოუნდეს?**

– გახარიაზე მე ადრეც გითხარით, რომ ის აფინანსებდა ჟურნალისტ ელისო კილაძეს, რომელიც აქტიურად მუშაობდა ახლა უკვე მოქმედი პრემიერის, მაშინ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა გახარია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყო, მე ვამბობდი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი დაბრუნდებოდა პრემიერმინისტრად. გახარიამ თავიდანვე იცოდა, რომ მას მომავალი „ქართულ ოცნებაში“ არ ჰქონდა, მით უმეტეს, პრემიერის სავარძელში და მას უკვე გზები ჰქონდა გაჭრილი დავით კეზერაშვილთან. იგი „ქართულ ოცნებაში“ „ძალად ექსპერტმა“, მატყუარა გია ხუხაშვილმა მოიყვანა, მას შემდეგ, რაც ხუხაშვილმა უღალატა „ქართულ ოცნებას“, გახარიასაც პრობლემები დაეწყო პარტიაში. ამასობაში მოხდა კოვიდ-პანდემია, თუმცა გახარია ისედაც შემჩნეული იყო საბანაძე-ხოჯევანიშვილთან ერთად ინფორმაციების გაჟონვაში და ისედაც ილესავდნენ კბილებს მის გასაგდებად პარტიიდან. ამას ის, რა თქმა უნდა, ხვდებოდა და აქ მოიშველია მან კილაძე ღარიბაშვილის დისკრედიტაციისთვის. მე როცა ვამბობდი, ირაკლი ღარიბაშვილი დაბრუნდება-მეთქი, ვიცოდი, რომ გახარიას წყალი ჰქონდა შემდგარი.

იმ პერიოდში დგება მელიას კრიზისი და კეზერაშვილი ჩუქნის მას ავტომანქანას. გახარია კი გადადგომის წინ ამბობს: იმიტომ ვაპირებ გადადგომას, რომ არ ვთვლი საჭიროდ ნიკა მელიას დაკავების სპეცოპერაცია განვახორციელო, ანუ თავიდანვე იყო დაგეგმილი, რომ მელიას ფაქტორს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გამოეწვია. ამ სვლამ შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ გახარია მაინც წავიდა, თუმცა ის დარჩა პოლიტიკაში, როგორც ხელისუფლების ოპოზიცია. ცოტა ხანში მას აღმოაჩნდება დიდძალი ფული, გახსნის ოფისებს რეგიონებში, განახორციელებს საარჩევნო კამპანიას, ტელეკომპანია „ფორმულა“ და „მთავარი“ კი ხმას გაიკმენდენ, რომ გახარია „თვალთხარიაა“, გავრილოვი ჩასვა სავარძელში, 20 ივნისის დარბევა მოხდა და ა.შ. პირიქით, იწვევენ მას ეთერებში და კრიზის-მენეჯერი უცებ ოპოზიციის მთავარი იმედი ხდება, ხოლო მეზვრიშვილი აქტიურ კომუნიკაციებს ამყარებს ოპოზიციურ პარტიებთან.

**– ირაკლი, საფრანგეთში დაგეგმილი შეხვედრა ახსენეთ, რატომ საფრანგეთში?**

– კეზერაშვილი ბი-ბი-სი-ს გამოძიების შემდეგ ერიდება ინგლისში ყოფნას, ჩემი წყაროც ნაციონალური მოძრაობიდან მიდასტურებს, რომ შეხვედრა საფრანგეთში უნდა გაიმართოს, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა.

**– ვინ არის ის“ ვიღაც „ნაცმოძრაობიდან“, თქვენი ინფორმატორი, წყარო, ინფორმაციებს რომ გასცემს, შინაგანად „ქართული ოცნების“ მომხრეა? ანუ იქაც არიან ადამიანები, რომლებსაც „ნაცმოძრაობა“ გულზე დიდად არ ეხატებათ?**

– იქ დღემდე არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ზიზღი ამოძრავებთ ხაზეიშვილისადმი და ნიკა მელიას ერთგულად რჩებიან, უბრალოდ, ვითომ პარტიის გულისთვის, არ ტოვებენ „ნაცმოძროაბას“.

ვინც მე მიცნობს, იცის ჩემი აქტივობების შესახებ და ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, ვინ შეიძლება იყოს ჩემი წყარო, თუმცა საჯაროდ მას, რა თქმა უნდა, არ დავასახელებ. მაგრამ ეს მინდა იცოდეთ, ხაზეიშვილს თავის გუნდში ნიკა მელიას მომხრე უამრავი ადამიანი ჰყავს, ჩუმი კეზერაშვილები და შეფარული მელიები, რომლებიც სულ სხვა მხარეს უბერავენ „ნაცმოძრაობის“ ისედაც ჩასაძირად გამზადებულ გემს და ეს გემი მალე ჩაიძირება.

ესაუბრა
**ირანდა კალანდაძე**

# როგორ ხრავს ქართულ სხეულს „პირველობის“ მანია!



**არ მეგონა 8 ივლისს, ვინმე პოლიტიკური ქულის ჩასაწერად თუ გამოიყენებდა – ნამდვილად არ მეგონა!**

ის, რაც ისედაც ჩანდა მოვლენის ზედაპირზე, მას ფიცი-მტკიცი და „ხბოს აღტაცებით“ გაბრუებული ფანების დასტური რაში სჭირდება – ყველამ იცის, რომ 8 ივლისის აქციის სათავეებთან „ალტ-ინფო“ – კონსერვატიული მოძრაობა იდგა. მადლობა მათ რომ მათი ძალისხმევით და ხალხის მხარდაჭერით ლგბტ ფესტივალი ჩაიშალა. მადლობა ძალოვან სტრუქტურებსაც, რომლებმაც არ გაამწვავეს ვითარება, აბობოქრებულ მასას საშუალება მისცეს გაერღვიათ პოლიციის კორდონი და ფესტივალის ჩატარების ეპიცენტრში შესულიყვნენ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ 8 ივლისს ქართველმა საზოგადოებამ (არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი კაცი მივიდა აქციაზე) გამოცდა ჩააბარა – მტკიცედ გაცხადდა, რომ მართლმადიდებელი საქართველო ლგბტ პრაიდს და ერთნაირსქესიანთა ქორწინებას არ დაუშვებს!

მიუხედავად იმისა. რომ დღევანდელი მთავრობა კანონს „ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“ გასაგები მიზეზების გამო ვერ მიიღებს, კარგი იქნებოდა აქციის მონაწილენი პარლამენტთან მაინც მისულიყვნენ ზემოთხსენებული კანონის გაუქმების მოთხოვნით, რაც კიდევ უფრო გაამყარებდა ქართველი ერის შეუვალობას სოდომგომორის ცოდვისადმი.

ნუ, რაც იყო, იყო...

8 ივლისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა შინაური და გარეული აღშფოთებულ-შეშფოთებულები - ზევრმა ჩვენმა თანამოქალაქემ, კიდევ ერთხელ ჩამოიხსნა ნიღაბი და ნეგატიურ კონტექსტში გააშიშვლა საკუთარი სახე. თუმცა, ეს არ არის მთავარი – მთავარია, აქცია შედგა და მოსალოდნელი დაპირისპირებაც თავიდან ავიცილეთ!

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ეს იყო გულანთებული ქართველების აქცია ყოველგვარი „ბაზაზების“ გარეშე, ანუ, გულწრფელი მადლობა ორგანიზატორებთან ერთად იმ ადამიანებსაც ეკუთვნის, ვინც არ დაიზარა და საკუთარი მხარდაჭერით დაიცვა ქართული იდენტობა.

აქ უნდა დაგვესვა წერტილი, ერთი ფრიად სამწუხარო „მაგრამ“ რომ არა – ახლა იმის მტკიცება დაიწყეს, ვის ეკუთვნის ლგბტ პროპაგანდის წინაარღმდეგ ბრძოლაში ექსკლუზივი და ვინ ვის ეცილება პირველობას?!

გუშინ დილით ზექა ვარდოსანიძის სტატუსი წავიკითხე, სადაც თეთრით შავზე წერია, რომ ვატო შაქარაშვილი უნამუსოდ იქცევა, როცა გამარჯვებას თვითონ მიიწერს. არადა, მთავარი მოქმედი გმირი „ალტ-ინფო“ – კონსერვატიული მოძრაობაა, რომელსაც ალტერნატივა არ ჰყავს!

მე არ ვიცი, ვატო შაქარაშვილის დამსახურება 8 ივლისის აქციაში, მაგრამ, ის კი ნამდვილად ვიცი, „პირველობის“ მანია არ უნდა გვაწუხებდეს და ხალხის ერთსულოვნებით მიღწეული გამარჯვება, პოლიტიკური ქულის დასაწერად არ უნდა გამოვიყენოთ!

დავუშვათ, შაქარაშვილმა გამოგიწვიათ. თქვენ რატომ უნდა აჰყვეთ და რატომ უნდა გვიმტკიცოთ, რომ ამ აქციაში „დამრტყმელი ძალა“ „ალტ-ინფო“ იყო და შაქარაშვილი პირველობას იბრალებს?!

პირიქით რომ ყოფილიყო: ზექა ვარდოსანიძეს (რომელიც, გასაგებია, ვისაც ახმოვანებს) მადლობა მოეხადა ყველასთვის, მათ შორის, შაქარაშვილისთვისაც და ეთქვა – ეს გამარჯვება ყველა მონაწილის დამსახურებააო, ტაშს დავუკრავდი. იმასაც ვირწმუნებდი, რომ საერთო პრობლემის გარშემო გაერთიანება შეგვიძლია: არა პირველობისთვის, ან პოლიტიკური ქულების ჩაწერისთვის, არამედ, საქართველოს ინტერესებისთვის ვიბრძვით!

დასკვნა: ნურავის გააფანატებთ!

როცა ალტერნატიულ არჩევანზე იფიქრებთ, კარგად დაუფიქრდით: ვინ რით სუნთქავს და რა მერკანტილური მიზანი ამოძრავებს – საერთო საქმეში ექსკლუზივისთვის ბრძოლა, ანგარებაზე დაფუძნებული „თავდადება“, ქვეყანას ხეირს არ მოუტანს – უკვე ბევრჯერ წავიტეხეთ ფეხი!

**P.S. საქართველოს მარტო ლგბტ თემის პრობლემა რომ ჰქონდეს, ამას როგორმე მოვუვლიდით. მიმოვიხედოთ გარშემო რა დილემის წინაშე დგას დღეს ქვეყანა და რა პერსპექტივა გველოდება, თუ აქედანვე არ ავტეხეთ განგაში. ერთ-ერთი უმძიმესი დილემა ციფრულ ვალუტაზე გადასვლაა, რომლის საპილოტე პროგრამა საქართველოში უკვე დაწყებულია.**



**ეს ისეთი საკითხია, ცალკე არსებული რომელიმე პარტიის ძალისხმევას რომ აღემატება.**

**დაიწყეთ, ბატონებო, ხალხის მობილიზება და ერთად ვუთხრათ არა (არა!, არა!) ციფრულ ვალუტაზე გადასვლას – ეს გაცილებით მძიმე პრობლემაა ვიდრე ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა: ეს ის მომაკვდინებელი ბაცილაა, რომელიც ბოლომდე ზღუდავს ადამიანის უფლებებს და მას რობოტად აქცევს!**

**ზაურ ნაჭყებია,**
პუბლიცისტი

# „მტკიცე მხარდამჭერები“, ფუჭე დაპირებები!..

**დამთავრდა ვილნიუსის „ისტორიული“ სამიტი...**

**იყო სტანდარტული, უკვე „წვერებიანი“ შეფასებები –- ჩვენ უკან არ დავიხევთ. მე ამას ვგულისხმობ. ჩვენი ერთგულება უკრაინის მიმართ არ შესუსტდება. ჩვენ თავისუფლების მხარეს ვიდგებით დღეს, ხვალ და რამდენ ხანსაც საჭირო იქნება (ჯო ბაიდენი).**

**კიდევ ერთხელ დადასტურდა ტერიტორიული მთლიანობის შესახებ „მტკიცე მხარდაჭერა“ და მსგავსი ლოზუნგები.**

ეს ყველაფერი ძალიან კარგად განმარტა ირაკლი კობახიძემ - რაოდენობრივად ტექტსი მეტია მოცემულ დოკუმენტში უკრაინასთან დაკავშირებით, მაგრამ ხარისხობრივად არავითარი განსხვავება არ არის. შენარჩუნდა სტატუს კვო, რაც არის რუსეთის მიმართ პრაგმატული პოლიტიკის შედეგი. მით უმეტეს, რომ კონკრეტული ჩანაწერებიც არის მოცემული. რუსეთთან დაკავშირებით წერია პირდაპირ, რომ ნატო არ ეძებს კონფრონტაციას, რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობები ვერ ექნება უკრაინის ომის შემდეგ, მაგრამ კონფრონტაციასაც არ ეძებს, ეს არის რეალური მოცემულობა.



იმ „მტკიცე მხარდაჭერების“ გარდა იყო რამდენიმე საინტერესო მომენტიც.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ საკმაოდ მრავლისმთქმელი იყო სამიტის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის ბენ უოლესის პრესკონფერენცია, სადაც მან მოუწოდა უკრაინას, მეტი მადლიერება გამოხატონ პარტნიორების მიმართ სამხედრო მხარდაჭერისთვის, ნაცვლად იმისა, რომ მუდმივად დააყენონ ახალი მოთხოვნები იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით.

მან გაიხსენა გასული წლის ივნისში ვიზიტი კიევში – როდესაც გადასცეს იარაღის ნუსხა – **„მე მათ ვუთხარი, რომ ბრიტანეთი არ არის Amazon-ის ინტერნეტმაღაზია“.**

ვილნიუსში ნატოს სამიტის მონაწილეები უსიამოვნო შოკში დარჩნენ უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის ნატოს მიმართ საყვედურებისა და უხეშობის გამო.

ამის შესახებ გამომცემლობა Europe Diplomatic-ის ჟურნალისტმა და ბრიუსელში დაფუძნებული “პრესის საერთაშორისო ასოციაციის“ წევრმა ანა ვან დენსკიმ ისაუბრა – ნატოს სამიტის ფარგლებში ზელენსკის უხეშობის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტს „ნაკლები მეგობარი“ შემორჩა, რომ ზელენსკის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მთელ მსოფლიოს მისი ვალი მართებს. მისი თქმით, უკრაინის პრეზიდენტი იქცეოდა როგორც „კაპრიზული პრიმადონა“, რაც უკრაინის პერსპექტივას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ბევრად უფრო მყიფეს და ბუნდოვანს ხდის.

ძალიან უცნაურ ვითარებაში აღმოჩნდა ეს „ჩვენი“ მუდამ კრიტიკულ დღეებში მყოფი მედია.

ისინი ვილნიუსის სამიტის წინ დაემგსგავსნენ იმ აბიტურიენტის „აქტიურ“ ნათესავს, რომელიც საუბრობს არა თავისი ახლობლის ცოდნაზე, არამედ იმაზე, რომ ვიღაცამ მისაღები გამოცდების შედეგები ჩააწყო და მართლაც კარგი შესაძლებლობების მქონე ბავშვის მშობლებს ლანძღავს.

იხ. 7 გვ.

# სირცხვილია
## ტრაგედიის ფონზე ისევ ყალბი ქულების ჩაწერა!

**თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და წყნეთში, ტრაგიკულად გარდაცვლილი მოზარდის ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა.**

თბილისის მერის განცხადებით, დასასვენებელ პავილიონში, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, ელექტროხაზი თვითნებურად იყო დაერთებული, რომელზეც მუნიციპალიტეტის მხრიდან არანაირი ნებართვა გაცემული არ ყოფილა.

**„ძალიან მძიმე ტრაგედია მოხდა. მთელი გულით ვუსამძიმრებ მოზარდის ოჯახს, რომელიც ორი დღის წინ უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. ძალიან რთულია ამ ყველაფერზე საუბარი და სიტყვების მოძებნაც კი. მინდა, მივუსამძიმრო მის ოჯახს, ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე განმარტებით, მომხდარის დეტალებს გამოძიება დაადგენს და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.

**„პირველადი მონაცემებით, ბავშვის გარდაცვალების მიზეზად სახელდება ფანჩატურში კუსტარულად დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი კუსტარული დაერთება არის უკანონობა. არავის აქვს უფლება, შესაბამისი ნებართვისა და სპეციალისტების ჩართულობის გარეშე, მსგავსი ტიპის სამუშაო აწარმოოს. არ მინდა წინასწარ რაიმე განცხადება გავაკეთო. რასაკვირველია, გამოძიება ყველა კითხვას გასცემს პასუხს.**

**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აღნიშნულ დასასვენებელ პავილიონში ელექტროხაზის დაერთებაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან არანაირი ნებართვა გაცემული არ ყოფილა – მისი დაერთება მოხდა თვითნებურად. ასევე, ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ მერიის მიერ მოწყობილ ფანჩატურებში, გარდა რამდენიმე საქალაქო მნიშვნელობის პარკისა, არ არის დამონტაჟებული ელექტროგაყვანილობები“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტრაგედიის ფონზე, დეზინფორმაციის გავრცელებისგან ყველამ თავი უნდა შეიკავოს.



* * *

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის 12 მეტროსადგურის მოდერნიზაციის პროექტი 2023-2029 წლებში განხორციელდება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით უკვე შეირჩა კონსულტანტი, რომელიც თბილისის სატრანსპორტო კომპანიას სხვადასხვა მომსახურების შესყიდვაში დაეხმარება.

**„მეტროსადგურების რეაბილიტაციის ფარგლებში, შეიცვლება „სადგურის მოედნის“ მესამე ამოსასვლელის სამი ესკალატორი. განხორციელდება 36 ესკალატორის ელექტროძრავის მოდერნიზაცია, რაც დაზოგავს ელექტროენერგიას. შეიცვლება ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების საკონტროლო პანელები. განახლდება მგზავრთა ინფორმირების სისტემა. გაუმჯობესდება სადგურების შესასვლელების ფიზიკური ხელმისაწვდომობა. მათ შორის, რამდენიმე მეტროსადგურზე დამონტაჟდება სპეციალური, დახრილი ლიფტები. „სადგურის მოედნის“ კვანძზე დამონტაჟდება ორი ლიფტი, პირველ და მეორე ხაზებს შორის წვდომის გასაუმჯობესებლად“.**

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შედეგად, მეტროს მუშაობა არსებითად გაუმჯობესდება, რაც თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

**„რეაბილიტირდება ცენტრალური სადრენაჟე სატუმბი სადგურები, შეიცვლება ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, სპეციალური და ადმინისტრაციული სატელეფონო სისტემები, უწყვეტი კვების წყარო (UPS) სადგურებზე მდებარე ცენტრალიზებული და ბლოკირების სიგნალიზაციისთვის, ასევე, ავტომატური მართვის პუნქტებისთვის.**

**რეაბილიტირდება სადგურების გარეთ არსებული სავენტილაციო სისტემა, ჯამში, 18 ვენტილატორი და მართვის სისტემა. მოხდება მეტროს გაერთიანებული სახელოსნოების სრული გადაიარაღება და გარემონტდება შენობა-ნაგებობები. გადაიარაღდება მეტროს სასწავლო ცენტრი. განახლდება ტექნიკური ხელსაწყოები და დანადგარები“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა ყველა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას მადლობა გადაუხადა, რომელიც აღნიშნულ პროცესშია ჩართული.

* * *

**დედაქალაქის მერის განცხადებით, ლევან გოთუას ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა დასრულდა.**

მისივე თქმით, აქამდე არსებული ორმხრივი პანდუსი ვერ უზრუნველყოფდა უსაფრთხო ორმხრივ სამანქანო მოძრაობას და საჭირო გახდა ახალი პანდუსის მოწყობა.

**„პროექტის ფარგლებში, მოეწყო გზა, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ ფერდის დამცავი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები და ლითონის ზღუდეები. ასევე, მოეწყო ახალი გარე განათების ქსელი და დამონტაჟდა LED სანათები. საკმაოდ პრობლემური იყო გოთუას ქუჩიდან სანაპიროზე ჩასვლა, იქმნებოდა საავარიო სიტუაციები. პროექტის განხორციელების შემდეგ კი, უსაფრთხოების თვალსაზრისით, აღნიშნული კვანძი პრობლემას აღარ წარმოადგენს და გოთუას ქუჩიდან ჩამსვლელები ისარგებლებენ ახალი პანდუსით“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ ქალაქ ნანტში მოქმედ საზაფხულო ბანაკში „შეხვედრა რაგბის ირგვლივ“, 2023 წლის 11 აგვისტოდან 21 აგვისტომდე, თბილისიდან, ნანტიდან, ზაარბრიუკენიდან და კარდიფიდან, 13-15 წლის 60-მდე მოზარდი მიიღებს მონაწილეობას.**

თბილისის მერის განცხადებით, პროექტის მიზანი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი მოზარდების დამეგობრება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობაა.

**„ბანაკი იფუნქციონირებს პორტ-ბარბის ღია სივრცეში, რომელიც 10 ჰექტარს მოიცავს. ახალგაზრდები კარვებში იცხოვრებენ. პროექტი ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი მოზარდების დამეგობრებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და დაძმობილებულ ქალაქებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, თბილისიდან ბანაკში 15 მოზარდი და სამი ახალგაზრდული მუშაკი გაემგზავრება.

**„ბანაკში გასამგზავრებლად უკვე ემზადება მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის შერჩეული 15 მოზარდი და სამი ახალგაზრდული მუშაკი. ბანაკში მონაწილეობისთვის შერჩეულ თბილისელ მოზარდებს შორის არიან სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების შვილებიც“.**

---



# დაპირისპირება ღრმავდება!
## ადგილობრივი ხორბლის პრობლემა ვერაფრით მოგვარდა!

**მარცვლეულის გაყიდვა-გასაღების პრობლემებთან დაკავშირებით, ადგილობრივი ფერმერები დღეს, 14 ივლისს მორიგ აქციას გამართავენ. აქცია წნორში გაიმართება და კონკრეტული მოთხოვნები გახმიანდება, რომელთა ნაწილი ისედაც უკვე ცნობილია. დაპირისპირება ამჯერად ფერმერებსა და წისქვილკომბინატებს შორის გაჩნდა, რადგან დათქმული პირობები არ სრულდება.**

როგორც მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა და კომპანია „შირაქის“ დამფუძნებელმა **ნიკოლოზ გენიაძემ** განაცხადა, თვენახევრის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას უკვე გადახედვა სჭირდება, რადგან არ მუშაობს. ამის მიზეზი პრემიერ-მინისტრის სასურსათო ნაწილში არსებული ბრძანების შეუსრულებლობაა.

**პრემიერის ბრძანებამ, რომელიც 12 ივნისიდან ამოქმედდა და ფქვილის იმპორტზე გადასახადის დაწესებას ითვალისწინებდა, არ იმუშავა. სწორედ ამიტომ, მეხორბლეები აქციის გამართვას 3 მოთხოვნით გეგმავენ.**

**პირველი – შესრულდეს პრემიერის ბრძანება, შესაბამისად, ის ვალდებულებები, რომელიც წისქვილკომბინატებმა აიღეს. გარდა ამისა, იმპორტირებულ 1 ტონა ფქვილზე 200-ლარიანი გადასახადი საკმარისი აღარ არის და ის რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტზე დაწესებული გადასახადის სარკისებური უნდა იყოს.**

**მეორე მოთხოვნა 1 კგ საფურაჟე ხორბლის იმპორტზე 30-თეთრიანი გადასახადის დაწესებაა. ადგილობრივი მეხორბლეების ინფორმაციით, ქვეყანაში დიდი რაოდენობით საფურაჟე ხორბალი შემოდის, რაც ქართული ხორბლის გაყიდვებს აფერხებს.**

კიდევ ერთი მოთხოვნა, რომელსაც ფერმერები დააყენებენ, არის საბანკო ვალდებულებების გადანაწილების საკითხი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ბოლო პერიოდში მეხორბლე ფერმერებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხი არ მიუღიათ.

**„სამინისტროსთან აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით, რომლის საფუძველზეც იაფი აგრო სესხების 2-3 წლამდე გადავადებასა და საფურაჟე ნაწილის განხილვას ვითხოვდით. რამდენიმე დღის წინ მივიღეთ ინფორმაცია, რომ აღარ განიხილება საფურაჟე ნაწილი, რაც შეეხება სესხებს, სესხებზე ისედაც ვერ მივიღეთ თანხმობა,“** – განაცხადა გენიაიძემ.

მეხორბლეებთან უკვე დაპირისპირებაში შესული წისქვილკომბინატების წარმომადგენლები გავრცელებულ მოსაზრებას არ ეთანხმებიან. ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ლევან სილაგავამ** აღნიშნა, რომ სასურსათო ხორბალი 65 თეთრად ჩაიბარეს, რუსული ხორბლის შესაბამის ფასად, საფურაჟეს კი ვერ შეისყიდიან, რაც კანონით ეკრძალებათ.

**„სტანდარტულს და სასურსათოს ჩავიბარებთ, რაც იქნება, თუმცა მეხორბლეებს უნდათ, უფრო სწრაფი ტემპი იყოს, რაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მთლიანობაში, ხარისხიან ხორბალს მივიღებთ 1 კილოგრამს 65 თეთრად, თუმცა ამ ადამიანებს აქვთ საფურაჟეც, რაც ჩვენი საქმე არ არის. გვეცოდება ფერმერები, გვინდა მხარში დავუდგეთ, მაგრამ უხარისხობის გამო ვერ ჩავიბარებთ. აქ უფრო სახელმწიფო უნდა ჩაერთოს. ვფიქრობთ, წელს, ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, საქართველოში მოსულ ხორბლის მოსავალს მთლიანად მივიღებთ, ამიტომ, ამ პროგრამას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, ხორბლის წარმოება ორად იყოფა და არსებობს სხვა სეგმენტიც – საფურაჟე ხორბალი, რომელსაც წისქვილების გაერთიანება არ იღებს და ფერმერებს სამინისტროსთან ამ თემაზე მოლაპარაკებები აქვთ“,** – აღნიშნა სილაგავამ.

ცნობილია, რომ გასული წლის მოსავლიდან 9 ათასი ტონა მარცვლეული კვლავ გასაყიდია, ამასთან წლევანდელი მოსავალიც დაემატა, რაც ფერმერებს პროდუქციის შენახვას ურთულებს. ასევე პრობლემაა სარეალიზაციო ფასი, რომელიც 1 კგ-ზე 43-45 თეთრის ფარგლებში მერყეობს.

**მიმდინარე წლის 12 ივნისიდან საქართველოში იმპორტირებულ ფქვილზე 5-თვიანი გადასახადი დაწესდა, მაგრამ სულ რაღაც 1 თვეში გაირკვა, ეს ფერმერების საქმეს ვერ შველის.**

**ბექა დანელია**

### ალოობა წარმატებით მიმდინარეობს

**კახეთში** ხორბლის აღება დასასრულს უახლოვდება. სასაწყობე მეურნეობებში მარცვლეულის ჩაბარებისა და აღების პროცესს შირაქის ველზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კახეთის გუბერნატორთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

თენგიზ ნასარიძის შეფასებით, რეგიონში ალოობა ტექნიკური პრობლემებისა და შეფერხებების გარეშე წარმატებით მიმდინარეობს. დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტში ფერმერების დიდმა ნაწილმა მოსავალი უკვე დააბინავა. 1 კგ მარცვლეულის ფასი 45- დან 60 თეთრამდე მერყეობს.

### შირაქელებს არც ქვემოქართლელები ჩამორჩებიან

**მარნეულის** მუნიციპალიტეტში მოქმედ შპს „აგროსისტემებს“ ხორბლის ჩასაბარებლად ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების მეხორბლეებმა მიმართეს.

„წელს ხორბლის კარგი მოსავალია. წისქვილები ნელ-ნელა ამუშავდა და უკვე ჩაბარებაც დაწყებულია. ძალიან დაგვეხმარა მთავრობის გადაწყვეტილება – საიმპორტო საფასურის დაწესება. დაგვიკავშირდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან: ბოლნისიდან, დმანისიდან, თეთრიწყაროდან, სადახლოდან; ხორბალს ვიბარებთ კახეთის რეგიონის მეხორბლეებისგანაც. თუ ასეთი ტემპით იმუშავებს წისქვილკომბინატები, მეხორბლეები კმაყოფილები იქნებიან“, – განაცხადა „აგროსისტემების“ დირექტორმა რენა ბაბაევამ.




# „მტკიცე მხარდაჭერები“, ფუჭე დაპირებები!..

(მეხუთე გვერდიდან) არადა გავშვი ბრწყინვალედ არის მომზადებული, გაიარა აბსოლუტურად ყველა ტესტი, თუ წინასწარი გასაუბრება. აქვს დიდი პოტენციალი, რაც შეუიარაღებელი თვალითაც თავისუფლად ჩანს.

ჩააწყო და ჩააწყო. ღმერთმა გაუმარჯოს, მაგრამ არ სვამს შეკითხვას – რა დაუჯდა ეს ჩაწყობა?

**მოდით და ამ ლირიკულ გადახვევას თავი დავანებოთ და პირდაპირ ვთქვათ, რომ საქართველო ნატოს წევრობას ყველა კომპონენტით იმსახურებს და ყოველგვარი შედარება უკრაინასთან სრული აბსურდია.**

აბსურდია თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკრაინაში ბომბები სკდება და ხალხი იხოცება. ის ბომბები, რომლებსაც ლომჯარია და მის მსგავსად „ცალ ფეხზე მდგომი“ ტიპები საქართველოს თავზე ნატრობდნენ.

ცხადია ამ პირობებში დასავლეთის მხრიდან უკრაინის მიმართ დიდი ყურადღება იქნება და უნდა იყოს კიდეც, მაგრამ თუ გავიხსენებთ უკრაინის თავდაცვის მინისტრის ალექსეი რეზნიკოვის სიტყვებს „მსოფლიო სამხედრო ინდუსტრიისთვის უკრაინაზე უკეთესი საცდელი ადგილის გამოგონება შეუძლებელია“ ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა – ჩვენ თუ გვინდა საქართველოს „მსოფლიო სამხედრო ინდუსტრიისთვის ახალი საცდელ ადგილად“ გადაქცევა?

იმ პოლიგონად, რომელზეც სწავლება კი არა, რეალური ომია და ჯარისკაცებთან ერთად ბავშვებიც იღუპებიან.

იყო ინფორმაციები რომ ბაიდენმა თქვა უკრაინა ჯერ ნატოში არ გაწევრიანდებაო, იქ სტოლტენბერგმაც თქვა რაღაც მსგავსი. ზელენსკი ამბობდა, ომის მერე ეგრევე ნატოში ვართო.

და ზუსტად ისე მოხდა რაც გაცხადებული იყო, რაც ყველამ იცოდა ოპო-მედიისა და მათი გადაცემის სტუმრების გარდა. პრინციპში მათაც იცოდნენ, მაგრამ იმდენად არიან გადავარდნილი მანიაკალურ იპოსტასში, რომ რეალობას საკუთარ თავსაც არ უმხელენ.

როდესაც ქართველი ჯარისკაცები ნატოს მისიებში სისხლს ღვრიდნენ, მაშინ უკრაინელი ჯარისკაცები მოსკოვში გამართულ სამხედრო პარადებზე კრემლის წინ მდგომ პუტინს „ჩესტით“ ესალმებოდნენ.

მართალი გითხრათ, ნამდვილად არ მაინტერესებს როდის მიიღებენ თუ საერთოდ არ მიიღებენ უკრაინას ნატოში და თუ მიიღებენ ძალიან გამიხარდება.

არ შემიძლია არ გამოვეხმაურო ირაკლი კობახიძის განცხადებას – ჩვენ ასევე გვეკითხებიან, რომ გეშინია ომის? გეგონება, ომის რომ გეშინია, ეს ცუდი რამეა. გეშინია, რათა მოსახლეობა არ ჩავარდეს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს უკრაინის მოსახლეობაა. ცდილობენ, ამის კნინობითი ფორმით წარმოჩენას. ეს შიში არის ნორმალური. ეს შიში გამოხატულია ნატოს კომუნიკეში. ნატოს ეშინია და საქართველოს რომ ეშინოდეს, ეს ბუნებრივია.

დიახ მეშინია, როცა ვხედავ ოპოზიციის სურვილს ბომბები სკდებოდეს თბილისის თავზე.

მეშინია, როცა ვხედავ უკრაინელ ბავშვებს რომლებიც თბილისში ტურისტებად კი არ ჩამოვიდნენ, არამედ სიკვდილს გამოექცნენ.

მეშინია როცა ვხედავ „კანონმდებლების“ მხრიდან „დანოსებს“, სახელწიფოს წინააღმდეგ ჩივილს და ინტრიგნობას.

მეშინია, როცა საქართველოს პარლამენტის წევრი ვინმე მეგრელიშვილი ჯარში სამსახურს მონობას უწოდებს და ჯარის შესახებ კანონის განხილვის დროს პარლამენტის თავმჯდომარეს საკუთარი კუჭის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მიმართავს.

მეშინია, იმის, რომ ჩემი, ჩემი მეგობრების, ნაცნობების, თუ უცნობების შვილები იმიტომ, რომ ამათ „ცალ ფეხზე დგომა“ უნდათ, იმიტომ რომ ამათ ერთი სული აქვთ როდის ჩახეთქავენ სალაფავს, იმ გზას გაივლიან რაც ჩვენ აფხაზეთში, სამაჩაბლოში გავიარეთ.

პირადად მე მარტოოდენ ჩემი თავისთვის არ მეშინია. თუ რამე მოხდა, იმ რაღაც „პერსპექტივის“ მოიმედე ხალხთან ერთად წავალ სანგარში და როცა მეგრელიშვილი, ან რაქვიაშვილი საჭმელზე დაიწყებენ წუწუნს, ავტომატის ლულას მაგათ და ყველა „ძიმაკრატს“ უკან გავუკეთებ.

**არ დამიწყოს ახლა აქ ვინმემ ნატო და ევროკავშირი რას იტყვისო!.. გამოხატვის თავისუფლება, ევროპული პერსპექტივა და რაღაც არასამთავროგოული ლათაიები....**

**არავისი არ მეშინია, მართალ კაცს რისი უნდა მეშინოდეს!..**



**გია გაბრიჭიძე**

# გიორგი ჭინჭარაული: შატილში ტურისტული სეზონი ჩავარდნის პირასაა



**ტურისტული სეზონი შატილში ყოველ წელს უარესდება. ეს პროცესი პანდემიამდე დაიწყო და წელს განსაკუთრებულად იკლო დამსვენებლების რაოდენობამ, სასტუმროების უმრავლესობა თითქმის ცარიელია,** – ამის შესახებ „კომერსანტთან“ შატილში არსებული სასტუმროს Firefly-ის დამფუძნებელი გიორგი ჭინჭარაული აცხადებს.

მისი თქმით, ამ საკითხზე საუბრები მას დუშეთის მერთანაც ჰქონდა და პრობლემის გამოსწორების გზებზეც ისაუბრეს, თუმცა შატილში სეზონი მაინც ჩავარდნის პირასაა. ჭინჭარაულის თქმით, გასულ წელთან შედარებით ტურისტების რაოდენობა შემცირებულია. გასულ წელს, მათ ვიზიტორები დასავლეთის ქვეყნებიდან ჰყავდათ, წელს კი ძირითადი ნაწილი რუსეთის მოქალაქეები არიან.

**„გასულ წელთან შედარებით გაცილებით ნაკლები ტურისტია წელს. საშუალოდ კვირაში ერთი დღე გვაქვს ჯავშანი. რუსების რაოდენობა გაიზარდა. ასევე გვყავს ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, პოლონეთიდან.ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ხალხი.“**

სიახლეებზე საუბრისას გიორგი ჭინჭარაული ამბობს, რომ მიმდინარეობს კოშკების რეაბილიტაცია და პროცესში ადგილობრივი მოსახლეობაც აქტიურად არის ჩართული, რაც მისასალმებელია. ასევე მან, რეგიონში კონკურენციაზეც ისაუბრა.

**„კონკურენტად არდოტის საოჯახო სასტუმროს განვიხილავთ. ჩვენი სასტუმრო ჯერ ახალია ბაზარზე, ამიტომ ვიზიტორს ინფორმაცია არ აქვს. მაგრამ გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკონკურენტოები ვართ, რადგან ანალოგი არა მარტო ხევსურეთში, ბევრ სხვა რეგიონში არ გვყავს, სასტუმრო შატილი ციხე-ქალაქში მდებარეობს, რომლის მომიჯნავედ გვაქვს კაფე-ბარი, საგვარეულო კოშკის ტერასებზე, ასევე ბიბლიოთეკა“,** – ამბობს ის.

სასტუმრო Firefly ხევსურეთში, სოფელ შატილში მდებარეობს. სასტუმროში კაფე და 4 ნომერია. ორადგილიანი ნომრის ღირებულება 100-ლარიდან, ხოლო 3-ადგილიანის 150 ლარიდან იწყება.

# ქობულეთში ჩილიმის არომატების საწარმო აშენდა

**ქობულეთში, სოფელ მუხაესტატეში, ჩილიმის არომატების საწარმო აშენდა. საწარმოს მშენებლობისა და აღჭურვის პროცესში 5 მლნ ევროს ინვესტიცია განხორციელდა.**



საწარმო ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის მაღალი ხარისხის ქართული პროდუქტის, ჩილიმის არომატების მიწოდებას უზრუნველყოფს. კომპანია H HOOKAH საწარმოში დამზადებული ნაწარმის რეალიზება საერთაშორისო ბაზარზე ხდება – „სიამაყით დამზადებულია საქართველოში“.

საერთაშორისო სტანდარტების საწარმოში ამ ეტაპზე 35 ადამიანია დასაქმებული. ბრენდი HOOKAH WIPO-ს საერთაშორისო ორგანიზაციაშია რეგისტრირებული და 180 ქვეყანას აერთიანებს. საწარმოს გახსნის ღონისძიებას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

# უძრავი ქონებისა და ტურიზმის ფორუმი ბათუმში

**ბათუმში FIABCI უძრავი ქონების და ტურიზმის ფორუმი „Batumi Real Estate 2023“ გაიხსნა. ფორუმი მაიამიში გამართული FIABCI-ის უძრავი ქონების მსოფლიო კონგრესის და მსოფლიო ოსკარად წოდებული უძრავი ქონების დაჯილდოების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, სადაც მონაწილეობას FIABCI-ის მსოფლიო დაჯილდოების გამარჯვებული წამყვანი სამშენებლო-დეველოპერული კომპანიები, ასევე არქიტექტორები, ურბანისტები, ინვესტორები იღებენ.**

ფორუმის წევრებს სიტყვით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ და რეგიონში ტურიზმის და დეველოპმენტის მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე, საერთაშორისო აღიარებებზე და სამომავლო გეგმებზე გაამახვილა ყურადღება.

თორნიკე რიჟვაძეს ტურიზმისა და უძრავი ქონების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ფიაბსი ჯორჯიას საპატიო წევრის წოდება მიენიჭა.

FIABCI-Georgia&Property Georgia-ს მიერ ორგანიზებული ფორუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პატრონაჟით ჩატარდა. ფორუმზე აჭარის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი პანელური დისკუსიის ფორმატში განიხილეს. ღონისძიების ფარგლებში B2B შეხვედრები გაიმართა. ფლორიდაში, ქალაქ მაიამიში 5-9 ივნისს გამართულ FIABCI-ის უძრავი ქონების 73-ე მსოფლიო კონგრესი და მსოფლიო ოსკარად წოდებული უძრავი ქონების დაჯილდოება გამართა. FIABCI World Prix d'Excellence Awards-ზე ქართული პროექტები წელს პირველად იყო წარმოდგენილი.



# თურქეთი ფრთხილობს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ერდოღანი მალე ფეხებზე დაიკიდებს პუტინს!



**რეჯეფ თაიფ ერდოღანი საინტერესო პოლიტიკური ფიგურა და სერიოზული მოთამაშე აღმოჩნდა დიდ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფასთან. არსებობს თუ არა ფარული წინაპირობები, რატომაც თურქეთი დათანხმდა შვედეთის ნატოში გაწევრებას, ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება. მოვლენების პარალელურად, თურქეთის ლიდერმა კატეგორიულად მოითხოვა თურქეთის ევროკავშირში მიღება.**

**Associacted Presscc-ის ინფორმაციით, ერდოღანმა ულტიმატუმით მიმართა ალიანსის წევრებს, რომ მისმა ქვეყანამ შესაძლოა მხარი დაუჭიროს შვედეთის ნატოში გაწევრებას, თუ ევროპის ქვეყნები თურქეთის ევროკავშირში გაწევრებისკენ „გზას გახსნიან“. ვილნიუსის ნატოს სამიტის წინ განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ თურქეთს გზას გაუხსნიან.**

**გააგრძელებს თუ არა თურქეთი ევროკავშირის კარიბჭესთან ლოდინს? — ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძეს გვესაუბრება.**

**— თურქეთი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო როგორც ფინეთის, ასევე შვედეთის ნატოში გაწევრების. ერდოღანი განსაკუთრებით შვედეთის ნაწილში ამბობდა, რომ არ დათანხმდებოდა მის ნატოში გაწევრებას, რადგან ტერორისტების მფარველობაში ადანაშაულებდა. ამასობაში შეიცვალა თურქეთის პოზიცია და მხარი დაუჭირა შვედეთის ნატოში გაწევრებას. ითქვა, თითქოს თურქეთი ამას წინაპირობების გარეშე დათანხმდა, თუმცა ერდოღანმა ვილნიუსის სამიტზე კატეგორიულად მოითხოვა თურქეთის ევროკავშირში მიღება. ფარული წინაპირობა შეიძლება იყოს ის, რომ თურქეთს გაუღონ ევროკავშირის კარი? წინაპირობების გარეშე ალიანსის გაფართოება გადამეტებულად ხომ არ მიგაჩნიათ?**

**რამაზ საყვარელიძე:** სიმართლე გითხრათ, გადამეტებული მგონია იმის ფონზე, რაც თავდაპირველად თურქეთმა განაცხადა. ერთი შეხედვით, თურქეთმა ანალოგიური პრეტენზიები გამოთქვა ფინეთის ეტაპზეც და პრაქტიკულად, მის ხელში ნატოს ხმა ინსტრუმენტი იყო, ემოქმედა ევროპულ ქვეყნებზე. შესაბამისად, ადამიანი იფიქრებდა, ერდოღანის სიჩუმეს რაღაცა სხვა მოტივები აქვსო. მაგრამ, ცოტა ხნის წინ ერდოღანმა ისევ საჯაროდ განაცხადა და ისევ იგივე ფორმულა წარმოადგინა - თუ, არ შემიშვებთ ევროკავშირში, მე არ შევუშვებ ნატოში შვედეთსო. ახლა, უცბად დათანხმდა. მეც მეჩვენება, რომ პიროვნებების ასეთი მოულოდნელი ცვლილებები არ ხდება და სავარაუდოა, რომ დახურულ კარს მიღმა ითქვა რაღაც, რაც ერდოღანისთვის დამაჯერებელი იყო სამომავლო პერსპექტივების თვალსაზრისით.

თურქეთს უნდა ევროკავშირში შესვლა, რათა ჰქონდეს ხელსაყრელი სავაჭრო პირობები ევროპის მასშტაბით. თუ ევროკავშირში არ შეუშვებენ და ისე შესთავაზებენ ანალოგიურ პირობებს, შეიძლება თურქეთი დათანხმდეს კიდეც. მას ევროკავშირი, როგორც ასეთი, იდეებისთვის არ უნდა. ეს ჩვენთან არის, რომ რაღაცა იდეების გარშემო გვინდა ხოლმე ამა თუ იმ ევროპული სტრუქტურების წევრობა, თორემ, თურქეთი პრაგმატულად მოქმედებს და ამ პრაგმატული მიზნებით უნდა ევროკავშირის წევრობა. თუ მიზნებს მიაღწევს სხვა გზებით, მაშინ შეიძლება ამაზე წავიდეს.

**— თურქეთის შემთხვევაში სხვა გზები რა შეიძლება იყოს? ერდოღანმა კატეგორიულად მოითხოვა ევროკავშირში შესვლა. მის საპრეზიდენტო მმართველობას თუ გადავავლებთ თვალს, მსგავსი კატეგორიულობით არასოდეს არ მიუმართავს ევროკავშირისთვის...**

— რა თქმა უნდა. ამიტომ, კიდევ უფრო მოულოდნელი არის თუკი ეს ნაბიჯი ყოველგვარი პრაგმატული გათვლის გარეშე გადაიდგა ერდოღანის მხრიდან. რაც შეეხება ცვლილებებს, შეიძლება რაღაცა ორმხრივი შეთანხმებების სერია შეპირდნენ, რის შემდეგაც თურქეთი მიიღებს ისეთივე ხელსაყრელ პირობებს, როგორსაც მისი ევროკავშირში ყოფნის შემთხვევაში.

## რუსეთი უკვე არ წარმოადგენს ევრაზიული კონტინენტის ცენტრს



**— შესაძლებელია თურქეთმა შეცვალოს გადაწყვეტილება?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი დეტალებზეა დამოკიდებული. თუ კულუარულმა დეტალებმა არ მიიღო ისეთი მიმართულება, რაც აწყობს ერდოღანს, მას გადაწყვეტილების შეცვლის უამრავი შანსი აქვს, როგორც ხელმოწერაზე უარის თქმა, ისე ხელშეკრულების რატიფიცირების ეტაპზე შეუძლია იმოქმედოს თავის მომხრეებზე და გააჩეროს ეს პროცესი.

**— რაც შეეხება უკრაინის ნაწილში თურქეთის ფერისცვალებას — თვალსაჩინოა ის, რასაც ერდოღანი აკეთებს უკრაინასთან მიმართებაში. შედგა ზელენსკის თურქეთში ვიზიტი, რასაც მოჰყვა აზოვის ბატალიონის მეთაურების გათავისუფლება, მან ღიად დაუჭირა მხარი უკრაინის ნატოში გაწევრებას, რასაც მოჰყვა რეაქცია რუსეთის მხრიდან და ითქვა, რომ თურქეთი ნელ-ნელა ხდება რუსეთის არამეგობრული სახელმწიფო. თურქეთის ასეთი რადიკალური ცვლილების მოტივი არის თუ არა ის, რომ ჩინეთს წაართავას ინიციატივა ომის შეჩერების თვალსაზრით? თურქეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მარცვლეულთან დაკავშირებით აწარმოებს მოლაპარაკებას და შედეგიანად...**

— ერდოღანმა საქმიანი მხარდაჭერა გამოავლინა იმით, რომ აზოველები გაათავისუფლა. ეს არ არის პოლიტიკური განცხადებების წონის მოვლენა. რა თქმა უნდა, თავსატეხი არის რა მიმართულებით მოძრაობს თურქეთის ლიდერი, რადგან, იმ სივრცეში, სადაც დღეს მსოფლიო გადანაწილების ბედი წყდება, შეიძლება ერდოღანს ჰქონდეს იმის შიში, რომ ამ გადანაწილებაში არ აღმოჩნდეს სუფრის მიღმა. იმისთვის, რომ თურქეთი სუფრის მიღმა არ აღმოჩნდეს, არ არის გამორიცხული, რომ დაიწყოს უფრო აქტიური თამაში ამ მინდორზე, რასაც უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა ჰქვია.

კიდევ ერთი რამით არის საყურადღებო ერდოღანის ეს ნაბიჯი. ვიცით, რომ ერდოღანი ძალიან პრაგმატული პოლიტიკოსია. ინგლისელების ეს ფრაზა, რომ არ არსებობენ მტრები და მეგობრები, არსებობს ინტერესებიო — ერდოღანის თურქეთზეც შეიძლება ითქვას. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რუსეთს ეგონა, რომ ერდოღანი მისი მეგობარია და უცბად აღმოჩნდა, რომ ერდოღანს რაღაცა სხვა ინტერესები აქვს. აი, ამ ინტერესების ძებნაში ვვარაუდობ, რომ უნდა გავითვალისწინოთ ეს ინტერესი — თუ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება ხდება, არ აღმოჩნდეს თურქეთი გვერდზე. ამდენად, ამ თვალსაზრისით, პრაგმატული თურქეთისგან საყურადღებო არის ის, რომ მან ფეხებზე დაიკიდა რუსეთი.

ვფიქრობ, რუსეთის გამწარებაც სწორედ მაგით არის გამოწვეული, ანუ ეს უკვე ნიშნავს, რომ რუსეთი დიდ პოლიტიკურ თამაშებში აღარ იგულისხმება როგორც ანგარიშგასაწევი ძალა. ეს არის ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო და თურქეთის დამოკიდებულება რუსეთისადმი, და არა მარტო თავისთავად თურქეთის გეგმები. ამ მხრივ მგონია, რომ ჭკუის სასწავლებელიც არის ერდოღანის დამოკიდებულება.

**— რა მხრივ?**

— იმ მხრივ, რომ მეჩვენება, რუსეთის პოლიტიკურ გაუფასურებას ხშირად კარგად ვერ ხედავს საქართველოს მოსახლეობა და ხშირად, ისევ ისეთი დიდი წონა ენიჭება, როგორიც ადრე ჰქონდა. ჩვენი მხრიდან ეს გასაგებია, რადგან რუსეთის ოკუპაციის ტალღაში მოვყევით, მაგრამ თავისთავად თუ დავაკვირდებით იმას, რომ რუსეთი შეიძლება აღარ არის ანგარიშგასაწევი ძალა, მაშინ შეიძლება ცოტა სხვანაირად შევხედოთ როგორც საერთოდ მსოფლიო პოლიტიკის, ისე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს. შეიძლება ითქვას, უფრო ოპტიმისტურად უნდა შევხედოთ ჩვენს მომავალს რუსეთთან მიმართებაში.

**— რას გულისხმობთ?**

— ზედმეტის თქმა არ მინდა, მაგრამ კონტინენტის ამ სივრცეზე, სადაც რუსეთი თავს თვლის გადამწყვეტ ფიგურად და ამ სივრცეზე ვართ ჩვენც, შეიძლება რუსეთი აღარ იყოს გადამწყვეტი.

**— ასეთ შემთხვევაში ვინ შეიძლება იყოს?**

— ერდოღანის ნაბიჯი გვაფიქრებინებს, რომ ამ კონტინენტის ლიდერებს შორის რუსეთზე ორიენტაცია უკვე აღარ არის საჭირო, ის არ წარმოადგენს ევრაზიული კონტინენტის ცენტრს. მე მაინც მგონია, რომ ერდოღანის გათვლები იმაზეა ორიენტირებული, რომ ასეთი ცენტრალური ფიგურა ევრაზიაში ხდება ჩინეთი, რომლისთვის რუსეთი ნამდვილად აღარ არის დიდი მეგობარი, იმის მიუხედავად, რომ ჩვენთან არ არის ადეკვატური აღქმა და მიიჩნევენ, რომ აი, ჩინეთი ეცდება რუსეთის გადარჩენას. არ ეცდება, იმიტომ, რომ ჩინეთს თვითონ სჭირდება რუსეთის ტერიტორიები. ასე რომ, რაც უფრო დაუძლურებული იქნება რუსეთი, ისეთ მდგომარეობაში იქნება, რომ არ შეეძლება წინააღმდეგობა გაუწიოს ჩინურ ექსპანსიას, ეს ჩინეთისთვის უფრო ხელსაყრელია, რადგან რუსეთის ტერიტორიაზე შეაბიჯებს უსისხლოდ. როგორც ჩანს, ამ მომენტს ელოდება კიდევაც ჩინეთი, ისე მშვიდად დგას და უცდის, მხარეები როდის დაღლიან ერთმანეთს.

აი, ასეთი თვალსაზრისით თუ შევხედავთ, რომ ერთი მხრივ მოდის ჩინეთი და მეორე მხრივ არის ამერიკული გავლენები კონტინენტზე, შეიძლება ერდოღანი თამაშობს ამერიკულ გავლენებზე. ის ცდილობს ასეთი გავლენები აარიდოს თურქეთს, მაგრამ მეორე მხრივ თავისი პოლიტიკა წარმართოს ისე, რომ ყოველთვის ეთქმოდეს ამერიკისთვის — მე, იგივე პოლიტიკას ვაწარმოებ, რასაც შენ, ოღონდ ჩვენ ერთმანეთში ნუ ვიჭიდავებთ. ედროღანმა ახლა ამერიკული გავლენის ეფექტი მოსინჯა.

**— შესაძლებელია თუ არა თურქეთი გახდეს მოლაპარაკების წარმოების პროცესში მთავარი ისევ ამერიკის და დასავლეთის მხარდაჭერით, რომ ჩინეთი გაიყვანონ პროცესიდან? ცხადია, რომ ამერიკას არ აწყობს ჩინეთის ჩართულობით რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება...**

— გეთანხმებით, გათვლა შეიძლება იყოს მაგაზე და გარდა ამისა, შეიძლება ისიც იყოს მანიშნებელი ერდოღანისთვის, რომ ბოლო ხანებში ძალიან აქტიურად დაიწყო თვითონ ამერიკის მხრიდან ლაპარაკი სამშვიდობო პროცესებზე. რახან ამერიკიდანაც დაიწყო ამაზე ლაპარაკი, შეიძლება ერდოღანს უნდა, რომ ოპერატიულად იმოქმედოს, არ გაუშვას მომენტი და ჩადგეს მომლაპარაკებლის როლში, რომელზედაც პრეტენზია აქვს ჩინეთს. არ ვიცი ოღონდ რამდენად ექნება ამერიკას სურვილი, რომ მომლაპარაკებლის როლში, რაც თავისთავად გარკვეულ პოლიტიკურ ქულებს უწერს ამა თუ იმ მხარეს, თურქეთი ერჩივნოს იგივე ჩინეთს. იმიტომ, რომ ჩინეთის ანტიამერიკული პოლიტიკა ჯერ ბუნდოვნად გამოიყურება, არ არის ცხადი და თურქეთის, თან ერდოღანის თურქეთის ამერიკის წინააღმდეგ მოქმედება უკვე ისტორიული ფაქტია. მან ამერიკული გავლენები მინიმუმამდე დაიყვანა თავის დროზე. ასე რომ, თუკი ამერიკა იქნება გადამწყვეტი, შეიძლება ამერიკული მხარისთვის თურქეთი არ იყოს უფრო უკეთესი ვარიანტი, ვიდრე ჩინეთი. ჩინეთთან ამერიკას შეიძლება ბევრნაირი გეგმები ჰქონდეს, რომელიც ახლა ჩრდილში რჩება.

თავის დროზე ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში იყო გავრცელებული ვერსია, რომ იქნებ, ამერიკამ გვერდზე გადადოს ბევრ კონტინენტთან ურთიერთობა და ურთიერთობის მთელი სიმძიმე გადაიტანოს ჩინეთზე — კისინჯერის ამ ფორმულაში არ იყო დაზუსტებული ურთიერთობის ეს სიმძიმე არის კონფრონტაცია ჩინეთთან, თუ პარტნიორობა, ანუ, ფორმულა — მოდი, გადავინაწილოთ გავლენები, როგორც ეს საბჭოთა კავშირთან იყო. ანუ, ევროპის რაღაც ნაწილი თანახმა იყო, რომ გაეკონტროლებინა საბჭოთა კავშირს და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს აკონტროლებდა ამერიკა. ასე რომ, შეიძლება რაღაცა მოდელი ახლაც გათამაშდეს და რაღაცა რაუნდების მერე არ აღმოჩნდეს ჩინეთი ამერიკისთვის ისეთი მიუღებელი, როგორიც დღეისთვის ჩანს.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# სერგეი ლავროვი: აშშ და მისი ნატოელი თანამგზავრები ცეცხლს ეთამაშებიან



**შეერთებული შტატები და მისი ნატოელი თანამგზავრები ქმნიან რუსეთთან პირდაპირი შეიარაღებული შეტაკების რისკს, რაც სავსეა კატასტროფული შედეგებით. ფაქტს, რომ კიევს ეყოლება F-16-ის ტიპის ავიაგამანადგურებლები, რომლებსაც შეუძლიათ ბირთვული იარაღის ტარება, მოსკოვი აღიქვამს, როგორც მუქარას დასავლეთის მხრიდან,** — ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა.

მისივე თქმით, უკრაინის შეიარაღებულ ძალებში ასეთი სისტემების გაჩენის ფაქტს რუსეთი დასავლეთის მხრიდან ბირთვულ სფეროში შექმნილ საფრთხედ განიხილავს.

**შეგახსენებთ, რომ უკრაინა ახალ კოალიციას ქმნის, რომელიც უკრაინელ პილოტებს F-16-ის ტიპის ავიაგამანადგურებლების გამოყენებაში გაწვრთნის. კოალიციაში უკრაინასთან ერთად 11 ქვეყანა ერთიანდება: დანია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ნიდერლანდების სამეფო, ლუქსემბურგი, ნორვეგია, რუმინეთი, პოლონეთი, პორტუგალია, შვედეთი და კანადა.**

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 30.0 - კმ 42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ლუკა მურვანიძის (პ/ნ 26001038028), მაია მურვანიძის (პ/ნ 58001030583), მარიამ მურვანიძის (პ/ნ 26950000507), ნიკა მურვანიძის (პ/ნ 26001037183) და შალვა მურვანიძის (პ/ნ 26001031577) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2 068 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.43.140) ნაწილი - 89 კვ. მეტრი და 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 641 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.43.141) ნაწილი - 148 კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 03 ივლისის №1-1/255 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ლუკა მურვანიძის (პ/ნ 26001038028), მაია მურვანიძის (პ/ნ 58001030583), მარიამ მურვანიძის (პ/ნ 26950000507), ნიკა მურვანიძის (პ/ნ 26001037183) და შალვა მურვანიძის (პ/ნ 26001031577) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებულ:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2 068 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.43.140) ნაწილზე - 89 კვ. მეტრზე და 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 641 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.43.141) ნაწილზე - 148 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 30.0 - კმ 42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების გიორგი კვაჭაძის (პ/ნ 26001033344), ირაკლი კვაჭაძის (პ/ნ 26001035833), ნუნუ ლომაძის (პ/ნ 26001029442) და ტარიელ კვაჭაძის (პ/ნ 26001006349) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში ((ეწერი), ნაკვეთი №2) მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 1 243 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.42.065) ნაწილი - 151 კვ. მეტრი და

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში ((ეწერი), ნაკვეთი №3) მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 1 795 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.42.067) ნაწილი - 108 კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 03 ივლისის №1-1/255 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების გიორგი კვაჭაძის (პ/ნ 26001033344), ირაკლი კვაჭაძის (პ/ნ 26001035833), ნუნუ ლომაძის (პ/ნ 26001029442) და ტარიელ კვაჭაძის (პ/ნ 26001006349) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებულ:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში ((ეწერი), ნაკვეთი №2) მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 1 243 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.42.065) ნაწილზე - 151 კვ. მეტრზე და 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში ((ეწერი), ნაკვეთი №3) მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 1 795 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.42.067) ნაწილზე - 108 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 30.0 - კმ 42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების თათია ლომაძის (პ/ნ 26001019501), თამაზ გურგენაძის (პ/ნ 26001006238), კონსტანტინე ლომაძის (პ/ნ 26001007662), მზია ლომაძის (პ/ნ 26001017943) და ნათია ტუღუშის (პ/ნ 26001011353) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჩიბათში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 2 812 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.42.073) ნაწილი - 952 კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 03 ივლისის №1-1/255 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თათია ლომაძის (პ/ნ 26001019501), თამაზ გურგენაძის (პ/ნ 26001006238), კონსტანტინე ლომაძის (პ/ნ 26001007662), მზია ლომაძის (პ/ნ 26001017943) და ნათია ტუღუშის (პ/ნ 26001011353) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჩიბათში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 2 812 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.42.073) ნაწილზე - 952 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

## საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+940 (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობის ზედამხედველობა

**ქვეყანა:** საქართველო

**შემსყიდველი:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**დაფინანსების წყარო:** საქართველოს მთავრობა

**კონტრაქტის დასახელება:** საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+940 (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობა

**სატენდერო მოწვევა:** GOG/CW/RFB-02

სატენდერო წინადადებების ელექტრონულად წარმოდგენის ბოლო ვადა: 2023 წლის 18 აგვისტო, 14:00 სთ. ადგილობრივი დროით

იხილეთ ვრცლად: https://tenders.procurement.gov.ge/public/?go=467529&lang=ge

## Construction Works for Stepantsminda- Gveleti Road Section from Km 0+440 to Km 4+940 (Lot 1) of Mtskheta-Stepantsminda-Larsi International Road

**Specific Procurement Notice**
**Request for Bids**
**Works**
**(Without Prequalification)**

**Country:** Georgia

**Employer:** Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

**Financing Source:** Government of Georgia

**Contract title: Construction Works for Stepantsminda- Gveleti Road Section from Km 0+440 to Km 4+940 (Lot 1) of Mtskheta-Stepantsminda-Larsi International Road**

**RFB No:** GOG/CW/RFB-02

Deadline for electronic bids submission is: August 18, 2023, 14:00 hrs. local time.

For further details: https://tenders.procurement.gov.ge/public/?go=467529&lang=en

ტრიუმფი

# რკინის მკვნეტელნი

**საქართველოს ჭაბუკ ძალოსანთა ნაკრების წევრებმა ევროპის ჩემპიონატი ტრიუმფით დაასრულეს.**

მოლდოვაში მოასპარეზე 15 სპორტსმენიდან უმედლოდ არცერთი დარჩენილა. გარდა ამისა დამყარდა ევროპისა და საქართველოს რეკორდებიც.

საერთო ჯამში მოხვეჭილი 39 მედალია, საიდანაც ვაჟთა ნაკრების ანგარიშზე 33 ჯილდოა, გოგონებმა კი 6 მედლის მოპოვება შეძლეს.

15 და 17-წლამდელთა შორის მედლების რაოდენობით საქართველო პირველ ადგილზე გავიდა!

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ჰიმნი ქართველთა გუნდის პირველივე წევრმა ააჟღერა: **დიმიტრი აბრალავამ** (U15) ქართველთა ყულაბას მოლდოვაში პირველი მედლები მოუტანა. ძალოსანმა 2 ოქროსა და 1 ვერცხლის მედლით ევროპის ჩემპიონობა იზეიმა. 2 ბრინჯაოს მედლით **ლუკა ლომაშვილი** (U17) ევროპის პრიზიორი გახდა. **რევაზ მილდიანმა** (U17) 1 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო. **გოგა ჯაჯვანმა** (U17) მკერდი 3 ვერცხლის მედლით დაიმშვენა. **ნიკა ჯიქიამ** (U15) 3 ვერცხლის მედლით ვიცე-ჩემპიონის ტიტული გაიფორმა. **ჯუმბერ ბეკოშვილმა** (U15)1 ვერცხლისა და 2 ოქროს მედლით ევროპის ჩემპიონობა იზეიმა. ლევან ოჩიგავამ ევროპის ჩემპიონობა (U17) 3 ოქროს მედლით გაინაღდა. **ჯაბა ტყეშელაშვილმა** (U17) კი კონტინენტის პირველობაზე 1 ვერცხლისა და 2 ოქროს მედლით ევროპის ჩემპიონის ტიტული გაიფორმა. **ლუკა სილაგაძის** (U17) ანგარიშზე 1 ბრინჯაოს მედალია. **მიხეილ ახალაძემ** (U15) კი 1 ვერცხლისა 2 ბრინჯაოს მედლით ევროპის პრიზიორობა დაიმსახურა.**საბა ადამიამ** (U17) 3 ოქროს მედლით ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. **გივი დარსაველიძემ** (U17) 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა და ვიცე-ჩემპიონი გახდა. **ჩემპიონატი ირაკლი ვეკუამ** (U17) საქართველოს ჰიმნითა და 3 ოქროს მედლით დახურა.




ასევე წარმატებით იასპარეზეს გოგონებმა. **ნანა ხორავამ** (U17) 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, **მარიამ მურღვლიანმა** (U17) კი 1 ოქრო და 2 ვერცხლი დაისაკუთრა. მარიამმა ატაცში ევროპის რეკორდიც დაამყარა!

ხალიჩაზე

# პირადშიც, გუნდურშიც

**საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით 15-წლამდე მოჭიდავეთა ნაკრებმა კაპოშვარის (უნგრეთი) ევროპის ჩემპიონატზე 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში კი პირველი ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალიც შედგა.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ და საქართველოს ჰიმნი ააჟღერეს გიგი პაქსაძემ (38 კგ), ერეკლე თავბერიძემ (57 კგ) და ლუკა მარტიაშვილმა (75 კგ).

ევროპის ჩემპიონატი ვერცხლის მედლებით დაასრულეს დავით შავაძემ (44 კგ) და გიორგი ქვარცხავამ (75 კგ).

საქართველოს ნაკრებმა 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედლით გუნდურ ჩათვლაში 141 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

მოვლენა



# მთები გადავდგით!

**რამდენიმე თვის წინათ გულით გავიხარეთ, როცა შევიტყვეთ, რომ საქართველოს 17-წლამდე ასაკის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრებმა სენსაციურად, თანაც პირველად მოიპოვა თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდის საგზური.**

ზოგმა ეს ისტორიული მოვლენა საკუთარი კედლების ფაქტორს მიაწერა – მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს ხომ თელავი მასპინძლობდა, მაგრამ ყველაფრის „გამაპუსტიაკებელ" ძალად ქომაგებს შევახსენებთ, რომ შემთხვევით შეიძლება ერთი პარტია მოიგო, მაგრამ მთლიანად მატჩისა და, მით უმეტეს, საერთოდ შესარჩევი ციკლის ტრიუმფით დასრულება მრავლისმთქმელი ფაქტია და შეფასებისას ობიექტურობა ყველას მართებს.

ნათქვამის ჭეშმარიტებაში სერბეთში დაწყებული კონტინენტური ფორუმის სტარტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, სადაც ჩვენმა გუნდმა, არც მეტი, არც ნაკლები, ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი ბალკანელები (მეორეა უნგრეთი), გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გმირულ ბრძოლაში დაამარცხა – 3:2.

პარტნიორებს 18-18 ქულით **მაგდა კობაიძემ** და **მელანია კაციტაძემ** ულიდერეს, თუმცა, დაგვეთანხმებით, მადლიერებას მთელი გუნდი იმსახურებს.

**გილოცავთ, ჯვაროსნებო!**

ფორუმის წინ

# ტრევიზოს გავლით აზიურ მუნდიალზე

**თბილისური შეკრება დასრულდა. ეროვნული ნაკრები ტრევიზოში 18 კალათბურთელით გაემგზავრება. ილიას ზუროსმა და მისმა ასისტენტებმა – ანატოლი ბოისამ, მანუჩარ მარკოიშვილმა და ფიზმომზადების მწვრთნელმა ირაკლი შიოშვილმა ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ინტენსიურად ავარჯიშეს, რის შედეგადაც 18 კალათბურთელი შეირჩა, რომლებიც 21 ივლისიდან იტალიის ქალაქ ტრევიზოში შეკრების მეორე ეტაპში მიიღებენ მონაწილეობას.**

ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შეკრებაზე რეკორდულად ბევრი – 34 კალათბურთელი იყო გამოძახებული. მწვრთნელებმა მოთამაშეები 2 ჯგუფად გაყვეს და დიღმის არენაზე ყოველდღიურად ავარჯიშებდნენ. შეკრებაზე არ იყვნენ თორნიკე შენგელია, თად მაკფადენი, გოგა ბითაძე და სანდრო მამუკელაშვილი. ეს ოთხეული ნაკრებს პირდაპირ ტრევიზოში 21 ივლისს შეუერთდება. კიდევ ერთი კალათბურთელი, რომელიც ტრევიზოში წამსვლელ 18 კალათბურთელს შორის მოხვდა, ლუკა ლიკლიკაძეა, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ მაკედონიაში, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში იმყოფება.

18-კაციან შემადგენლობაში არაერთი ახალგაზრდა მოხვდა, რამდენიმემაც მწვრთნელების დიდი მოწონება დაიმსახურა და ისინი ეროვნულ ნაკრებს მომავალში გამოადგებიან. სამწუხაროდ, ოჯახური მიზეზების გამო შეკრებას ბექა ბურჯანაძე გამოაკლდა.

17 და 18 ივლისს ეროვნული ნაკრების წევრები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და 20 ივლისს იტალიაში გაემგზავრებიან. შეკრება ტრევიზოში 21 ივლისს დაიწყება, სადაც ჩვენი გუნდი 10 დღე ინტენსიურად ივარჯიშებს. იტალიაში ნაკრები 18 კალათბურთელით გაემგზავრება, საიდანაც საბოლოოდ ის 12 მოთამაშე შეირჩევა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე, იაპონიაში გასამგზავრებელ შემადგენლობაში მოხვდებიან.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს მოსამზადებელი გეგმა, რომელიც 7 ამხანაგურ მატჩს მოიცავს. იტალიაში, კემპის დასრულების შემდეგ ილიას ზუროსის გაწვრთნილი ნაკრები პირველ მატჩს ტრევიზოშივე, ეგვიპტის ეროვნულ გუნდთან გამართავს, რის შემდეგაც ლიეტუვაში, შემდეგ კი ლატვიაში გაემგზავრება და ამ ქვეყნების ნაკრებებთან შესაბამისად – 1 და 5 აგვისტოს ითამაშებს.

12-13 აგვისტოს თბილისში საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი გაიმართება, რომელშიც საქართველოსთან ერთად მონტენეგრო, იორდანია და ირანი ითამაშებენ. 12-ში ნახევარფინალები: საქართველო – იორდანია და მონტენეგრო – ირანი გაიმართება, ხოლო 13 აგვისტოს ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის. ტურნირის დასრულებიდან მეორე დღეს საქართველო ირანთან დახურული ტიპის სპარინგ-მატჩს გამართავს, რომელსაც მაყურებლები არ დაესწრებიან და ტელევიზიითაც არ გადაიცემა.

17 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები 12 კალათბურთელით იაპონიის კუნძულ ოკინავაზე გაემგზავრება.




ოვალური ბურთი

# ოლ ბლექსთან – მესამედ

**უმცროსი ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბმა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დასკვნითი მატჩისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.**

**ლადო კილასონიას** შეგირდები დღეს ჩვენი დროით 19 საათზე სტელენბოშში, „დენი ქრეივენ სთედიუმზე" მე-7 ადგილისთვის ტურნირის 6-გზის ჩემპიონს (12 ჩემპიონატში) უმცროს ოლ ბლექსს ერკინებიან. აქამდე ჩვენს 20-წლამდელებს მათ წინააღმდეგ ორჯერ უთამაშიათ და გამარჯვება ორივეჯერ მეტოქეს დარჩა – 2016 წელს 55:0 და 2019 წელს 45:13.

უელსთან გამართული მე-5-მე-8 ადგილების ნახევარფინალური შეხვედრის შემდეგ უმცროსი ბორჯღალოსნების სასტარტო რაზმში 7 ცვლილებაა. პირველ ტურში, სამხრეთ აფრიკასთან მატჩის შემდეგ, დამწყებთა შორის ბრუნდება ფულბეკი ვაჟა მიქაძე, ლუკა ცირეკიძე კი ფრთაზე გადაინაცვლებს. ცირეკიძე სასტარტო შემადგენლობაში ზედიზედ მეხუთე თამაშს იწყებს. ხაზის მოთამაშეებიდან მეხუთედაა საწყის 15-ეულში მეორე ფრთა შალვა აფციაური, ასევე ცენტრი თორნიკე კახოიძე და მგეზავი პეტრე ხუციშვილი. უელსთან მატჩის შემდეგ ძირითადში ბრუნდებიან ცენტრი გიორგი შველიძე და 9 ნომერი დავით ხუროშვილი.

შერკინების ხაზში ზედიზედ მეხუთე თამაშს იწყებენ მეორეხაზელი გურამ ღანიაშვილი და მესამეხაზელები – რატი ზაზაძე და გუნდის კაპიტანი ლაშა ციხისთავი, რომელიც წინა მატჩის შემდეგ ფლანკერის პოზიციას უბრუნდება. შერკინების შემკვრელად ბრუნდება ნიკა ლომიძე, მეორე ხაზში კი ღანიაშვილს გიორგი გერგედავა შეუწყვილდება. პირველ ხაზში ადგილი შეინარჩუნა სერგი აბრამიშვილმა, მარჯვენა ბურჯად ბადრი ციხისთავს, კვაჭად კი ბასა ხონელიძეს ვიხილავთ.

მარქაფაში გადაინაცვლეს კვაჭმა თამაზ ჭამიაშვილმა, ბურჯმა ირაკლი აფციაურმა, მეორეხაზელმა გიორგი ნიკოლაძემ, მესამეხაზელმა თორნიკე ღანიაშვილმა და 9 ნომერმა ალექსანდრე ჯიღაურმა, ასევე ფრთა ლუკა ხორბალაძემ. წინა მატჩის მსგავსად შეცვლაზე არიან გიორგი მამაიაშვილი და გელა ხელაძე.

**„უელსთან შეხვედრის შემდეგ ცხელ გულზე ვთქვი, რომ მეტოქე ჩვენზე ერთი თავით მაღლა იდგა, მაგრამ როდესაც თამაში გავარჩიეთ, დავინახე, რომ ასე ნამდვილად არ იყო. 2-3 შეცდომა დავუშვით, რის გამოც მდევრის როლში აღმოვჩნდით და ამან ჩვენი გეგმები შეცვალა. რაც შეეხება ახალ ზელანდიასთან მომავალ თამაშს, ვინც რაგბის უყურებს ყველამ იცის როგორი სახიფათო გუნდია ის, განსაკუთრებით კონტრშეტევისას და მაშინ, როცა სწრაფი ბურთი აქვს. ეს ჩვენთვის დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. შევეცდებით ჩვენი თამაში ერთი საფეხურით კიდევ უფრო წინ წავწიოთ"** – განაცხადა მთავარმა მწვრთნელმა **ლადო კილასონიამ**.



გამოსათხოვარი

# ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი და დიდებული ადამიანი



ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებამ, ქართველმა ბიზანტინისტებმა დიდი გულისტკივილით გააცილეს უკანასკნელ გზაზე თვალსაჩინო მეცნიერ-მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **ნელი მახარაძე**.

ნელი მახარაძე 1961 წლიდან, დღიდან მისი დაარსებისა, მოღვაწეობდა გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 2005 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, განყოფილების სამეცნიერო კვლევა-ძიების მიმართულების განმსაზღვრელი და სასიცოცხლო ძალის მიმნიჭებელი. ნელი მახარაძე იყო აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის რჩეული მოწაფე, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა თავისი დიდი მასწავლებლის საქმე. 1979 წელს ნელი მახარაძეს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის (კლასიკური ენები) სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2004 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის (ბიზანტინოლოგია) სამეცნიერო ხარისხი.

ფართო იყო ნელი მახარაძის მეცნიერული თვალსაწიერი. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა ბერძნული ენის ისტორია, ბერძნული გრამატიკული თეორიები და ქართული პარალელები; ჩვეული გულისხმიერებით და განსაკუთრებული ინტერესით იკვლევდა არეოპაგიტიკის პრობლემებს, რასაც არა ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა და სტატია მიუძღვნა. მისთვის ყოველთვის იყო სანუკვარი და სისხლხორცეული თემატიკა, რომელიც ბერძნული და ქართული წყაროების პარალელებს ასახავდა.

ნელი მახარაძის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი გამოცემულია საქართველოსა და უცხოეთში. მათ შორისაა იშვიათი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მონოგრაფია „ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები" (2003 წ.), სტატიები: „ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და ბიზანტიის ჩრდილო-დასავლური და სამხრეთ-აღმოსავლური რეგიონების ბერძნული წარმოთქმის თავისებურებანი" (2010 წ.), „Le Manuscrit Bilingue Greco-Georgien Du Liban Scripts Beyond Borders. A survey of Allographic Traditions in the Euro-Mediterranean World" (2013), „Some Peculiarities of the Language of Pseudo-Dionysius the Areopagite" (2022).

დღიდან დაარსებისა, ნელი მახარაძე გახლდათ ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კავშირის წევრი და დაუღალავი მუშაკი მისი გამგეობისა. იგი იყო არაჩვეულებრივი ორგანიზატორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა, რომლებიც არნახული წარმატებით ჩატარდა თბილისსა და ბათუმში. მისი თანარედაქტორობით, კრებულების სახით, გამოცემულია ამ კონფერენციების მასალები — „ბიზანტინოლოგია საქართველოში" (ოთხ ტომად) და უაღრესად დიდი სამეცნიორო მნიშვნელობის მქონე ნაშრომი „ბიზანტია ქართულ წყაროებში".

ქალბატონი ნელი 2017 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მთავარი რედაქტორი სამეცნიერო ჟურნალისა „ქართველოლოგია", რომელშიც დაიბეჭდა მრავალი მნიშვნელოვანი და სიახლეებით აღსავსე გამოკვლევა.

ნელი მახარაძე იყო აქტიური მონაწილე სამეცნიერო ცხოვრებისა, მისი მოხსენებები გამოირჩეოდა აქტუალური და საინტერესო თემატიკით, მეცნიერული კვლევა-ძიების სიღრმით და ჭეშმარიტი არგუმენტაციით. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი სარეცენზიო ნაშრომები; ის, როგორც დარგის ექსპერტი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ და უცხოელ კოლეგებს შორის; მისი პირუთვნელი და ფრიად ფასეული შენიშვნები და რჩევები ხშირად ახალი კვლევების მიზანი ხდებოდა.

განსაკუთრებული შრომატევადი სამუშაო გასწია ქალბატონმა ნელიმ ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის რედაქტირების ურთულეს საქმეში, რომლის საბოლოო სახით გამოქვეყნება, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

ყველა, ვინც კი ქალბატონ ნელის იცნობდა, აღიარებდა მის პიროვნულ, გამორჩეულ ადამიანურ თვისებებს; მასთან ურთიერთობა, მისი ახლობლობა დიდი ბედნიერება იყო. იგი დაჯილდოებული იყო ფენომენალური ნიჭით, უკეთილშობილესი ადამიანი, რომლისთვისაც უცხო იყო შური — „მწუხარება სხვისა სიხარულსა ზედა"; იყო დიდი პროფესიონალი, რომელიც უდიდესი გულისხმიერებით იღწვოდა თავის საკვლევ სფეროში და ღირსეულად აფასებდა სხვათა შრომასაც; დაუნანებლად, უშურველად უნაწილებდა თავის გულის სითბოს და ყურადღებას კოლეგებსა და ახლობლებს; იყო ათასობით ადამიანის სიხარულისა და დარდის გამზიარებელი; თბილი, მოღუღუნე ხმით მოსაუბრე, სიკეთითა და სიყვარულით ავსებდა და ალამაზებდა ყოველდღიურობას.

ღრმა მწუხარებით ვემშვიდობებით დიდებულ მეცნიერსა და უძვირფასეს ადამიანს, ნელი მახარაძეს, რომელმაც დაუვიწყარი კვალი დატოვა ამ ქვეყნად და მარადისობაში გადაინაცვლა.

**ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კავშირი**

# 13 ქურდი ერთ დღეს დაიჭირეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს** ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, ქუთაისსა და სვანეთში 13 პირი დააკავეს.

„პოლიციამ 1965 წელს დაბადებული ი.კ., 1994 წელს დაბადებული ზ.ც., 1996 წელს დაბადებული ა.ფ., 1973 წელს დაბადებული გ.ფ., 1995 წელს დაბადებული მ.გ., 1989 წელს დაბადებული დ.კ., 1993 წელს დაბადებული ს.ბ., 1968 წელს დაბადებული გ.ა., 1990 წელს დაბადებული დ.ზ. მეტსახელად „ქერა", 1985 წელს დაბადებული გ.ქ., 1973 წელს დაბადებული კ.ვ., 1977 წელს დაბადებული პ.ზ. და 2000 წელს დაბადებული ა.ზ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე „ქურდული სამყაროს წევრობის", „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერისა" და „ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვის" ბრალდებით დააკავა.

დანაშაულები ათ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული კომპლექსური გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ საქმიანობაში.

ბრალდებულები ი.კ., ა.ფ., და ზ.ც., მოქალაქეებს შორის ფინანსური დავების, ასევე, სადავო საკითხების „ქურდული წესების" შესაბამისად განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით, „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდამჭერ პირებთან – დ.ზ.-სთან, მ.გ.-სთან, გ.ქ.-სთან, გ.ფ.-სთან, გ.ა.-სთან, ს.ბ.-სთან, დ.კ.-სთან და კ.ვ.-სთან ერთად სისტემატურად აწყობდნენ „ქურდულ გარჩევას", აქტიურად ერთვებოდნენ სადაო საკითხების განხილვაში, ასევე, „ქურდული სამყაროს" წესების შესაბამისად წყვეტდნენ და მოდავე მხარეებიდან ერთ-ერთს სადავო თანხის მიტანას როგორც სიტყვიერად, ისე ძალის გამოყენებით აიძულებდნენ.

„ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერისთვის ბრალდებული პირები „ქურდული სამყაროს" წევრებს საქმის გარემოებების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას, წარადგენდნენ საკუთარ მოსაზრებებს, აფასებდნენ და ხელს უწყობდნენ „ქურდული სამყაროს" საქმიანობის განხორციელებას.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს" მიმართვისთვის ბრალდებულებმა პ.ზ.-მ და ა.ზ.-მ, მატერიალური სარგებლისა და მატერიალური უპირატესობის მისაღებად, საბერძნეთში მყოფ „კანონიერ ქურდს", ნ.ფ.-ს, მეტსახელად „ბურდღუნიჩს" მიმართეს", – აცხადებენ შსს-ში.

მათივე ცნობით, სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს" უკავშირდებოდნენ, ნივთმტკიცებად ამოიღეს. პოლიციის მიერ ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ასევე ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღები, საბრძოლო მასალა და ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე კვარტა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.



# პოლონეთში, ყალბი საბუთებით, საქართველოს მოქალაქე დააკავეს

**პოლონეთში საქართველოს 35 წლის მოქალაქე დააკავეს, რომელიც უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე ყალბი საბუთებით გადადიოდა.**

შემოწმებისთვის წარმოდგენილი ერთ-ერთი საბუთი იყო მართვის მოწმობა, რომელიც თითქოს საქართველოს ხელისუფლების მიერ იყო გაცემული. მესაზღვრეებს მის ავთენტიკურობაში ეჭვი შეეპარათ. სპეციალური მოწყობილობებით ჩატარებული ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მართვის მოწმობა ყალბია", - განაცხადა სასაზღვრო სამსახურის სერჟანტმა ემილია სიდორმა.

დაკავებულმა ბრალი აღიარა. მას 1-წლიანი პირობითი სასჯელი მიესაჯა. საიდანაც 4 თვეს ციხეში გაატარებს.

პოლონეთის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, 2023 წლის დასაწყისიდან საზღვარზე ყალბი საბუთების მქონე 270 პირი გამოვლინდა, 80 მათგანს ყალბი მართვის მოწმობა ჰქონდათ.

# საბერძნეთში, დევნის შემდეგ პოლიციამ ორი ქართველი დაიჭირა

**საბერძნეთის ქალაქ პაფოსში პოლიციამ დევნის ოპერაციის შემდეგ ორი ქართველი დააკავა, რომლებიც მიმალვას ცდილობდნენ.**

იმის გამო, რომ დევნის დროს ეჭვმიტანილები მანქანას არ აჩერებდნენ, პოლიციელებმა რამდენჯერმე ჰაერში გაისროლეს. პოლიციის ინფორმაციით, მძღოლი ავტომობილს ძალზე საშიშად მართავდა, რამდენჯერმე გაიარა წითელ შუქნიშანზე, ავიდა ტროტუარზე და შექმნა ავარიული სიტუაცია.

ჰაერში გასროლის შემდეგ მანქანა გაჩერდა. დაკავების დროს პოლიციამ აღმოაჩინა, რომ მძღოლი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო, ხოლო მგზავრს ბინების ძარცვისთვის აუცილებელი ხელსაწყოები ჰქონდა.

ორივე ქართველი დაკავებულია, მიმდინარეობს გამოძიება.

# გაათავისუფლეს... 53-წლიანი პატიმრობის შემდეგ

**კალიფორნიაში ვადამდე ადრე გაათავისუფლეს ლესლი ვან ჰაუტენი – სერიული მკვლელისა და კულტის ლიდერის, ჩარლზ მენსონის ყველაზე ახალგაზრდა მიმდევარი.**

აგვისტოში ვან ჰაუტენი 74 წლის გახდება. ის 19-ის იყო, როდესაც მენსონის ბანდის სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდა სასურსათო მაღაზიის მფლობელის ლენო ლაბიანკას და მისი ცოლის მკვლელობაში ლოს-ანჯელესში.

1971 წელს ვან ჰაუტენს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა შემდეგ სასჯელი სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობით შეუცვალეს,



რადგან შტატის უზენაესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა. შედეგად, ქალმა ციხეში 53 წელი გაატარა.

ვან ჰაუტენმა ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე განაცხადი 21-ჯერ შეიტანა, თუმცა უშედეგოდ. 2023 წლის მაისში კი სააპელაციო სასამართლომ ვან ჰაუტენს დაუჭირა მხარი და მის კარგ საქციელს გაუსვა ხაზი.

# გერმანელი დანაწევრებული იპოვეს

**ტაილანდში დაკარგული გერმანელი ბიზნესმენის, 62 წლის ჰანს-პიტერ მაკას დანაწევრებული ცხედარი აღმოაჩინეს. რომელიც დამნაშავეებმა საყინულე კამერაში დამალეს. მაკი ტაილანდის ქალაქ პატაიაში ცხოვრობდა და ის უგზო-უკვლოდ 4 ივლისს დაიკარგა. პოლიციის ინფორმაციით, მათ ორი ეჭვმიტანილი დააკავეს.**

**გამოძიების ვერსიით, გერმანელი ბიზნესმენი ბოროტმოქმედებმა წინასწარ შეთანხმებით მოკლეს, ხოლო შემდეგ მისი ცხედარი გადამალეს. პოლიციამ თავდაპირველად მაკის მანქანა აღმოაჩინა, რომელშიც ბენზინის ხერხი, ბაღის მაკრატელი და ნაგვის პარკები იყო.**



# სიურპრიზი „ბასიანისგან“

**ქართული ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ გუშინ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეზოში, ახალი ალბომის პრეზენტაცია გამართა.**

ალბომში მეტწილად ანსამბლის 2021-22 წლების ნამუშევრები გაერთიანდა, თუმცა მასში შეტანილია ის სიმღერებიც, რომლებიც „ბასიანმა“ უხუცეს ოსტატ-შემსრულებლებთან ერთად სხვადასხვა დროს ჩაწერა. მათი ნაწილი საჯაროდ პირველად ქვეყნდება. ჩანაწერები ოთხ კატეგორიადაა წარმოდგენილი, მათგან სიახლეა ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის ნიმუშები. ასევე, შეძლებთ არსებული სიმღერის ტექსტებისა და ნოტების ნახვას ქართულ და ინგლისურ ენაზე. ალბომის პრეზენტაციასთან ერთად გაიმართა ფილმისა და კლიპის პრეზენტაცია.

**„Concept საქართველოს მონახულება და ზაფხულის განწყობების ამაღლება, ქართულ სიმღერასთან ერთად უკეთესია. ამიტომ შევქმენით პორტატიული და მრავალფუნქციური აუდიო-ალბომი, რომლითაც შესაძლებლობა გექნებათ ქართულ ხალხურ სიმღერებს მოუსმინოთ ყველგან, მანქანაში, მთაში, პიკნიკზე, აგარაკზე თუ სოფელში“,** – აცხადებენ „ბასიანში“.

# EMMY-ს 2023-ის ნომინანტები

**ამერიკული სატელევიზიო პრემია Emmy-ს წლევანდელი ნომინანტების სია ცნობილია. ტელეარხის ცნობით, ყველაზე მეტი ნომინაცია - 27 სერიალმა „მემკვიდრეები“ მიიღო. ლიდერთა შორის ასევე არიან: „უკანასკნელი ჩვენგანი“ (24), „თეთრი ლოტოსი“ (24), „ტედ ლასო“ (21).**

საუკეთესო დრამატული სერიალის წოდებისთვის იბრძვიან: **„ანდორი“, „უმჯობესია დაურეკოთ სოლს“, „გვირგვინი“, „დრაკონის სახლი“, „უკანასკნელი ჩვენგანი“, „მემკვიდრეები“, „თეთრი ლოტოსი“, „მზიკები“.**



წლის საუკეთესო მინი-სერიალის წოდებისთვის იბრძოლებენ: **„დაპირისპირება“, „მონსტრი - ჯეფრი დამერის ისტორია“, „დეიზი ჯონსი და** the Six**“, „ფლეიშმანის გასაჭირი“, „ობი ვან კენობი“.**

ნომინაციაში „დრამატული სერიალის საუკეთესო მსახიობი კაცი“ წარმოდგენილები არიან: **ჯეფ ბრიჯესი** („მოხუცი“), **ბრაიან კოქსი** („მემკვიდრეები“), **კირან კალკინი** (მემკვიდრეები), **ჯერემი სტრონი** („მემკვიდრეები“), **ბობ ოდენკიორკი** („უმჯობესია დაურეკოთ სოლს“), **პედრო პასკალი** („უკანასკნელი ჩვენგანი“).

საუკეთესო ქალი მსახიობის წოდების დრამატულ სერიალში კი იბრძვიან: შერონ ჰორგანი („დებ გარვების შეთქმულება“), **მელანი ლინსკი** („მზიკები“), **ელიზაბეტ მოსი** („მხევლის ნაამბობი“), **ზელა რემზი** („უკანასკნელი ჩვენგანი“), **კერი რასელი** („დიპლომატი“), **სარა სნუკი** („მემკვიდრეები“).

Emmy-ს 2023 წლის დაჯილდოების ცერემონია 19 სექტემბერს გაიმართება.



# ყველაზე უცნაური გაქცევა

**ორშაბათს საღამოს, 10 ივლისს, ლას-პალმასის (ესპანეთი) პორტში, ორი ახალგაზრდა ნიგერიელი მიგრანტი აღმოაჩინეს, რომლებიც უზარმაზარი სატვირთო გემის საჭის ხრახნზე იყვნენ მიკრულნი.**

გავრცელებული ინფორმაციით, 18 და 22 წლის ორმა ახალგაზრდამ ესპანეთის ხელისუფლებას განუცხადა, რომ „MSC Marta“-ზე ასვლა მათ აღნიშნული გემის ლაგოსის (ნიგერია) ნავსადგურში დგომისას მოახერხეს. იტყობინება, რომ „MSC Marta“-მ ლაგოსი 2 ივლისს დატოვა, რის შემდეგაც ცოტა ხნით ტოგოს ერთ-ერთ ნავსადგურში გაჩერდა და იქიდან ლას-პალმასში გაემართა. ამ ესპანური პორტიდან კი სატვირთო გემი, მოგვიანებით, სამხრეთ იტალიაში, გიოია ტაუროს პორტში უნდა გამგზავრებულიყო. როგორც ლას-პალმასის პორტის პოლიციამ განაცხადა, ორივე ნიგერიელი მიგრანტი, სამშაბათს საღამოს, სამედიცინო გამოკვლევისთვის, საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიციამ ასევე აღნიშნა, რომ მოგვიანებით მათ ნიგერიაში დააბრუნებენ.

# ბრიტნი სპირსის „მემუარები“




**ბრიტნი სპირსის მემუარები The Woman In Me („ქალი ჩემში“) 24 ოქტომბერს გამოვა.**

მემუარებს Gallery Books-ი გამოსცემს. გამოცემაში წიგნს აღწერენ როგორც „თამამ და საოცრად გულისამაჩუყებელ ისტორიას თავისუფლებაზე, პოპულარობაზე, დედობაზე, გადარჩენაზე, რწმენასა და იმედზე“. აშშ-ში წიგნის წინასწარ შეკვეთა 26,39 დოლარად შეიძლება. ინგლისურის გარდა მემუარები კიდევ 16 ენაზე ითარგმნება.



# ახალი კომპანია ინტელექტის შესასწავლად

**TESLA-ს გენერალურმა დირექტორმა და sobnnth-ის მფლობელმა ილონ მასკმა ხელოვნური ინტელექტის სფეროში თავისი ახალი სტარტაპის xAI შექმნის შესახებ განაცხადა.**

xAI-ში DeepMind-ის, Google-ისა და Microsoft-ის ყოფილი თანამშრომლები იმუშავებენ. „xAI-c Twitter -ზე გამოქვეყნდა ტვიტი: **„რომელი ფუნდამენტური კითხვები დარჩა პასუხგაუცემელი?“.** ამასთან, 2023 წლის მარტში ილონ მასკმა 1000-ზე მეტ ექსპერტთან ერთად ხელი მოაწერა ღია წერილს, რომლის ავტორებიც ხელოვნურ ინტელექტზე მუშაობის სულ მცირე 6 თვით შეჩერებას ითხოვდნენ, სანამ არ ჩამოყალიბდება უსაფრთხოების საერთო პროტოკოლები.

# ვარსკვლავების საიუბილეო ფოტოსესია

**ტელესკოპმა „ჯეიმს ვები“ დედამიწიდან 390 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარე ვარსკვლავების ფორმირების რეგიონის ახალი ფოტო გადაიღო.**



ფოტოს გამოქვეყნება კოსმოსური ობსერვატორიის მუშაობის წლისთავს აღნიშნავს. სურათზე დეტალურად არის ასახული „რო ოფიუჩის“ ღრუბლების კომპლექსი, სადაც ახალგაზრდა, მზის მსგავსი ვარსკვლავების სხივები ვარსკვლავთაშორის გაზს ხვდება და ანათებს მას.

კომპლექსში 50 ვარსკვლავია, რომელთა მასაც ჩვენი მზის მასის მსგავსია, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში მათ ირგვლივ შესაძლოა მზის სისტემის მსგავსი პლანეტარული სისტემები წარმოიშვას. ფოტოს ყველაზე ბნელი ნაწილი კი ის ადგილია, სადაც ვარსკვლავები ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაში არიან.

# იტალიაში საგანგაშო წითელი დონე გამოცხადდა

**სამხრეთ ევროპის ქვეყნებში ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად გაიზარდა. უახლოეს დღეებში ევროპაში ჰაერის ტემპერატურა რეკორდულ ნიშნულს მიაღწევს.**

ესპანეთში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ხორვატიასა და თურქეთში, მოსალოდნელია, რომ ტემპერატურა 40 გრადუსს გადააჭარბებს.

იტალიაში ტემპერატურამ შეიძლება 48.8C-ს მიაღწიოს. იტალიის 10-ზე მეტ ქალაქში განგაშის წითელი დონე გამოცხადდა, მათ შორის ფლორენციასა და რომში. მაღალი ტემპერატურის გამო იტალიაში მუშა, რომელიც ზებრებს ხატავდა მილანის მახლობლად, ცუდად გახდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა.



სამხრეთ ევროპის დიდ ნაწილში ტემპერატურა კიდევ მოიმატებს. ჩეხეთის დედაქალაქში, ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს 36 გრადუსს. ცნობისთვის, ევროპაში ყველაზე ცხელი ტემპერატურა 48.8C დაფიქსირდა იტალიის კუნძულ სიცილიაზე 2021 წლის აგვისტოში. გასულ წელს სიცხის შედეგად ევროპაში 60 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 ივლისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5803; ევრო - 2.8806;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3701;
100 რუბლი - 2.8556; თურქული ლირა - 0.0988;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5196;
1000 სომხური დრამი - 6.6881

**ამინდი 14 ივლისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +14, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +9, | დღე +31 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +14, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +32 |
| თბილისი: | ღამე +17, | დღე +33 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge